ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

29. XI. 1991 ფასი 50 კაპ. № 45 (50)



ვულოცავთ საქართველოს პრეზიდენტს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

**გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“**

სრულიად საქართველოს წმ. ილია მართლის საზოგადოების რუსთავის რეგიონალური ორგანიზაცია გაგვახარა ცნობამ, რომ ჩვენს პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას მიენიჭა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ დიდ წარმატებას ვულოცავთ ბატონ პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოს და აგრეთვე სრულიად საქართველოს!

Please revise your entry | USSR | Page 2729 1

## The Europa World Year Book 1992

ENTRY no charge/gratuite/gratis

Tavisupali Sakartvelo (Free Georgia): Tbilisi: 2 a week; organ of the Round Table—Free Georgia group.

CORRECTIONS AND ADDITIONS*.

adress: Republic of Georgia,
Tbilisi 380096, Kostava st. 14.
Telephone: 98 31 57.
Year of foundation 1989
Activities Political and Social Newspaper, in Georgian language
Frequency: once a week
Editor in Chief: Miss Tamar

## The Europa World Year Book 1992

Please revise your entry for the 1992 edition of The Europa World Year Book. Your entry is free of charge and there is no obligation to buy a copy of the book. Even if there are no revisions, please return this form to the address below.

**The Europa World Year Book** is a comprehensive country by country survey and directory of world politics, economics, religion, commerce, diplomacy, the media, transport, etc. The two-volume work covers International Organizations and the countries of the world in alphabetical order from Afghanistan to Zimbabwe.

ინგლისიდან მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, შეიტანეს ევროპის მსოფლიო კატალოგში, რომელიც ლონდონში გამოიცემა ყოველწლიურად და მოიცავს სრულ ინფორმაციას მსოფლიოს პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ.

ცნობარი ორი ტომისაგან შედგება. მასში ანბანური თანმიმდევრობით შედის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო ავღანეთიდან ზიმბაბვემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ამბოხების ისტორია პიკანტური ჩანართებით



**სექტემბერ-ოქტომბერში** მთელი საქართველო დაძაბული იყო. ეს დაძაბულობა ჯერაც არ ჩამცხრალა. მთავარ სირთულეს, მაშინაც და ახლაც, გადამდგარი გვარდიის კარგად შეიარაღებული ნაწილები ქმნიდნენ, რომელთა არა თუ მოქმედება, არამედ არსებობაც კი, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მთელი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრებისთვის. სანამ არ მოიხსნება დაძაბულობა მოჯანყე გვარდიასა და ხელისუფლებას შორის, მანამ საქართველოში იქნება სამოქალაქო ომის საშიშროება, სისხლისღვრის, ტერორიზმის, კრიმინოგენული სიტუაციის ზრდის საფრთხე.

ქართველები მიდრეკილნი ვართ არტისტიზმისაკენ, რისთვისაც ფრიად ორიგინალურ ფორმებს ვპოულობთ ხოლმე და არ შეიძლება, ამ მიმართებით, ორიოდ საქებარი სიტყვა ბატონ კიტოვანს არ შევაწიოთ — აფერუმ ჩვენი სარდლის სამხედრო ღირსებას, კაცს, რომლის ქვეყანა მსოფლიოს ერთ მეექვსედს არის შეჭიდებული და ზვიად გამსახურდიას გარდა ობიექტს ვერ პოულობს საბრძოლო ჟინის გასალაღებლად, მართლაც რომ გამორჩეულად ორიგინალური მიდგომა აქვს სამყაროსადმი.

ამბობენ, ერეკლე მეფის დასაფლავებაზე 20 ათასი იარაღასხმული ვაჟკაცი ჩამობრძანდა დედაქალაქს იმერეთიდანო. ვილას გალიმებია იმ მწარე წუთებში — საცოდავი ერეკლე, ომის დროს ხუთიათასიან არმიას ვერ კრებდა და რამდენი შეიარაღებული კაცი ჰყოლია ქვეყანაშიო.

სწორედ იმ პერიოდში, როცა ბატონმა კიტოვანმა პრეზიდენტთან დაპირისპირება ისურვა და მისი თანადგომით ღონემიცემულმა „დემოკრატებმა“ მონდომებით დაიწყეს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ყელის გამოჭრა, შიდა ქართლში დროებით გაყუჩებულმა ექსტრემისტებმა იფიქრეს, მგონი უჩვენოდ აქცევენ საქართველოსო და არნახულად გააქტიურდნენ, იქნებ მოვასწროთ ჩვენი წვლილის შეტანა ამ მართლაც საშური საქმის დაგვირგვინებაშიო.

მთელი ორი თვეა არ წყდება სამაჩაბლოს ქართული სოფლების რბევა, ძარცვა, ნგრევა. მდგომარეობამ უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია. სასოწარკვეთილი მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. აქ კი, თბილისის პოლიტიკურ წრეებში სერიოზულად იხილება საკითხი გამსახურდიას თანამონაწილეობისა „კრიზისის“ გამწვავებაში. ჯანღონით სავსე, კბილებამდე შეიარაღებული ახალგაზრდა კაცები დაობენ დემოკრატიის, ზოგადსაკაცობრიო, და მსოფლიურ ღირებულებებზე — ხან მშვიდობიან მანიფესტაციებს აწყობენ, ხან ხმამაღალ მიტინგებს, ხანაც მორიგ შიმშილობას „გამოიწყებენ“... „კრიზისს“ კი შიდა ქართლის რბევას იმიტომ ეძახიან, რომ სიტყვა „ომს“ შეგნებულად ერიდებიან. როცა შენს ქვეყანაში ომია, სირცხვილია, კაცი დილიდან-საღამომდე ყბედობის მეტს არაფერს აკეთებდე; კრიზისი კი ისეთი რამეა, რაშიც მონაწილეობა არა თუ სავალდებულო, სამარცხვინოც კია. ამიტომ, თუ ომს კი არა, კრიზისს დავარქმევთ იმას, რომ ტერიტორიას გვედავებიან, გვხოცავენ და გვაწიოკებენ, საშუალება მოგვეცემა გულმშვიდად გავაგრძელოთ პოლიტიკური დებატები ისე, რომ ჩვენი მამაკაცური ღირსება არ შეილახოს. ომი რომ იყოს, მტერს ბდღვირს ავადენდით — კრიზისისთვის გარჯაც არ ღირს, გადაივლის — ამგვარია ჩვენი „პოლიტიკოსების“ დღევანდელი ლოგიკა.

მაგრამ ღვთის მადლით, სამყაროს სხვა ლოგიკა აქვს. კაცს (თუ ის მართლა კაცია) არ შეუძლია დიდხანს თავის მოტყუება, არ შეუძლია არხეინად იმის ყურება, როგორ უგინებენ სამშობლოს და უწიოკებენ მოყვასს. ის, რომ კიტოვანის მოჯანყე გვარდიას გამოეყო დიდი ჯგუფი, რომელმაც უარი თქვა თავის სრულიად გაუგებარ როლზე — იარაღასხმული იჯდეს თბილისის ზღვაზე, პანსიონატის ეზოში და ელოდეს საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან არარსებულ თავდასხმას, როცა სამშობლო სანაპიროდ გაუხდიათ ოს ექსტრემისტებს, ნიშნავს, რომ საქართველო ცდილობს დაიბრუნოს თავისი ღირსება, თავისი სახე, თავისი წესი, ვაჟკაცობა.

არ მინდა ვინმესთვის საწყენად დარჩეს ეს სიტყვები, მაგრამ ძალიან მომიკლა გული ჩეჩნების ვაჟკაცობამ. თუ შეიძლება რამის შურდეს ადამიანს, ალბათ, უნდა შურდეს არა ქონების, არამედ ღირსების. მე შემშურდა ჩეჩნების ვაჟკაცობა, იმათი სიყვარული და სიბრძნე შემშურდა. ციხიდან გამოქცეული რეციდივისტი ინტერვიუს აძლევს და ამბობს: მე ციხიდან იმიტომ გამოვიქეცი, რომ მეგონა ჩემს ხალხს აქ უფრო ვჭირდებიო. ჩემმა პრეზიდენტმა რომ მიბრძანოს, ახლავე შევბრუნდები ციხეშიო. ამ სიტყვების მთქმელი კაცი, ალბათ, არავისზე ნაკლები ვაჟკაცი არ არის, მაგრამ მან იცის, რომ ყველაზე დიდი ვაჟკაცობა საკუთარი თავის მორევაა და თუ მის ხალხს დასჭირდა, ამასაც შესძლებს. რატომ უნდა ჰქონდეს სხვის რეციდივისტს მეტი ჭკუა და სიყვარული, ვიდრე ჩემს პოლიტიკოსს?

მთელ მსოფლიოში ყველას თუ ღირსებად ეთვლება საკუთარი ხალხის სამსახური, რატომ უნდა იყოს ჩემს ქვეყანაში პრესტიჟული საკუთარი ერის ლანძღვა? რა უბედურება გვემართება? რა გვჭირს ასეთი, რომ თითქმის 800 წელიწადია ერთიდაიგივე შეცდომას ვუშვებთ, მტერ-მოყვარეს ვერ ვარჩევთ ერთმანეთისგან, მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს შორის ვერ ვსაზღვრავთ მთავარს, ვერ ვიგებთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ საერთო ძალისხმევის გარეშე გამარჯვება არ მიიღწევა? ამიტომაც ვფორთხავთ რვა საუკუნეა და ჩვენი გამართვა, გალაღება, წელში გაშლა ვერ მოხერხდა. ვერც მოხერხდება მანამ, სანამ ყველა თავისკენ ექაჩება ამ უბედურ საქართველოს და ვერ ხვდება, რომ საკუთარ სამშობლოზე ძალით გამარჯვება, ყველაზე დიდი დამარცხებაა ქვეყანად.

საბედნიეროდ, როგორც ჩანს, მარტო მე არ დამაფიქრა ჩეჩენთა ვაჟკაცობამ. სხვასაც აეხილა თვალი (იქნებ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა). ვთქვი უკვე, კიტოვანის მოჯანყე გვარდიის ერთი ნაწილი შეაშფოთა თავისმა გაურკვეველმა როლმა. ისინი ასე ხსნიან თავის მოქმედებას: „მოსკოვის პუტჩიდან დაწყებული, ჩვენ სულ თან ვახლავართ კიტოვანს, ეს სამი თვეა თითქმის ტანთ არ გაგვიხდია, იზოლაციაში, გარემოსთან კონტაქტის გარეშე ვცხოვრობთ, გვქონდა ურთიერთობა მხოლოდ კიტოვანთან, სიგუასთან და სხვა „მოღვაწეებთან“. რაღაც ხანი მართლა გვჯეროდა, რომ სამართლიანობას ვემსახურებოდით — ქართველ ხალხს ვიცავდით პრეზიდენტის აგარესიისაგან. დრო გავიდა და პრეზიდენტი არავის ესხმოდა თავს. ამასობაში შიდა ქართლში ვითარება დაიძაბა. მოკლედ, მივხვდით, რომ რაღაც უსუფთაო თამაშში გაგვრიეს“. კიტოვანისგან წამოსულმა გვარდიელებმა ხელისუფლებას ლოიალობა გამოუცხადეს. ეს გასაგებია. დღევანდელ საქართველოში, ამ უმძიმეს დროს, როცა კაცი შენი ნებით, მოხალისედ ეწერები გვარდიაში, გინდა, რომ შენს ხალხს ემსახურო და არა შენი ხალხის ერთ, თუნდაც ელიტარულ ნაწილს (პიკანტური დეტალი — თბილისური ელიტის წარმომადგენელი ლამაზი ქალბატონები, რიგ-რიგობით უმზადებენ სადილს თავიანთ გმირს, ბატონ კიტოვანს და თბილისის ზღვაზე მიართმევენ ხოლმე. ასეთ მომხიბლავ ფუსფუსში არიან ჩვენი ნაღები მანდილოსნები).

ხელისუფლებასა და კიტოვანის ყოფილ თანამებრძოლებს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ყოფილი მოჯანყე გვარდიელები წამოიღებენ ტექნიკას თბილისის ზღვიდან და სახელმწიფო სამსახურში ჩააყენებენ.

გუშინწინ (27 ნოემბერს) გვარდიელები ავიდნენ თავის ყოფილ ბინაზე (თბილისის ზღვაზე) ტექნიკის წამოსაღებად. კიტოვანმა მათ შეიარაღებული ხალხი დაახვედრა. მასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა. სახელმწიფო სტრუქტურებში დაბრუნებულმა გვარდიელებმა ასეთი ახსნა-განმარტება მოგვცეს — იქ სროლა და უსიამოვნება არ გვინდოდა იმიტომ, რომ კიტოვანთან ამ წუთას არიან მხოლოდ გაწვევის ხალხი, 17-18 წლის ბიჭები. იმათ განიარაღებას არაფერი უნდოდა, მაგრამ ვინმე რომ შემოგვკვდომოდა, ცოდვა იქნებოდა და მოვერიდეთო.

იმედი მაქვს, ის დროც დადგება, როცა „გაწვევის ხალხი, 17-18 წლის ბიჭებიც“ მიხვდებიან, რომ არაფერი ბედენაა კიტოვანის დაცვა, როცა სამშობლოს გედავებიან და ისინიც დატოვებენ ძლევამოსილ მთავარსარდალს. ღირდა კი, ამდენ სისხლად, უსიამოვნებად, დაძაბულად ეს „უსუფთაო თამაში?“ (მეორე პიკანტური დეტალი — ამბობენ, მოსკოვში ყოფნისას, ბატონი სიგუა შევარდნაძის „დაჩაზე“ ცხოვრობდაო, მე მჯერა).

მარხვაა საქართველოში, შობის მისტერიას ველით. ვაჟას სიტყვები მახსენდება: „დიდო მარხვაო, დიდად მარხულნი ვართ, განა მარტო თვალები, გული და გონებაც ცრემლის მორევში დაცურავს. ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს — გვექმნას მწედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ ძალი და ღონე, მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო“.

**თამარ ეზრალიძე**

# შინაური მუსაიფი

**„თვითო-თვითოდ** ერთს გაწყვეტილს ჯაჭვის რგოლებივით ცალცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქეთ. თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო სიკეთისათვის, მაშინ მეც გეტყვი: საქართველო აგერ აქ არის მეთქი“... (დროება, № 27, 1876 წ.). XX საუკუნის ნებისმიერი მემატიანე, 90-იანი წლების საქართველოს ისტორიის აღწერისას, დაუფიქრებლად მოაწერდა ხელს ამ ტექსტს. საოცარი თანხვედრაა, საუკუნის წინ ნათქვამ ილიას სიტყვებს და დღევანდელ დროებას შორის.

დღეს, ისე როგორც მაშინ, დაწყვეტილ-დანაკუწებულია ქართველობა: პოზიცია-ოპოზიციად, პარტია-ქარტიად, ქალაქ-სოფლად, ვაკეველად, ინტელიგენტ-გლეხად და ა. შ. ეს ნამცეცებად ქცეული, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფები, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვიან. სხვა საქმეა, ვინ რა გზით მიდის ამ მიზნისაკენ. ზოგს დემოკრატიზაციის კურსი აუღია და სწორება რუსულ ინტელიგენციაზე აქვს, ზოგს ევროპული, გერმანული ან ფრანგული, ანდა ამერიკული ტიპის დემოკრატია ეზარხოშება. უმეტესობა, ჩვენდა საბედნიეროდ, სამშობლოს თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან გზას მოთმინებით შესდგომია კანონიერ ხელისუფლებასთან ერთად.

მოდერნ-დემოკრატები თავიანთ „ტბილხმოვან“ გამოსვლებში დემოკრატიულობის ბრწყინვალებით თვალს ჭრიან ევროპა-ამერიკის მოყვარულთ და ისტორიის განჩინებას ელიან. ხშირად გსმენიათ, ალბათ, ოპოზიციონერი ლიდერებისაგან: „ისტორია შეაფასებს ყველაფერს“, „ისტორია განსჯის, ვინ არის მართალი“.

მოდით მოვიხმოთ, ძვირფასო თანამემამულენო, ისტორიის გაკვეთილები, გადავხედოთ ჩვენს არცთუ ისე შორეულ წარსულს და ცოტა წავიმუსაიფოთ XIX საუკუნის დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, იქნებ ლოდინი აღარ დაგვჭირდეს და ჩვენთვის საჭირო დასკვნები დროულად გავაკეთოთ.

ღრმა ანალიზს ისტორიული პარალელებისას, საგაზეთო წერილი, ცხადია, ვერ დაიტევს, ამიტომ მხოლოდ ერთ რუსულ პუბლიკაციაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, რომელიც „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა XIX საუკუნის მიწურულს ვინმე კატკოვის მიერ. შემაძრწუნებელი პუბლიკაციაა. თუ ასე ცალ-ცალკე ვიბორიალეთ დემოკრატიულ ლაბირინთებში, ალბათ, კატკოვისა და რიქოვისდროინდელ საწყის მდგომარეობაში დაგვაბრუნებს ისტორიის ქარბორბალა.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს წამყვან წერილში პუბლიცისტი-კონსერვატორი კატკოვი წერს:

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი (საუბარია დიმიტრი ყიფიანზე) ჰბედავს და „ქართველი“ თავადაზნაურობის წინამძღვრად იწერება და იწოდებაო! „ქართველი“ რას ნიშნავს, საქართველო რას მიქვიანო!... ვიცით რომ არის „ტფილისის გუბერნია“, კიდევ „ქუთაისის გუბერნია“, როგორც ერევნისა და ბაქოს გუბერნიები და „საქართველო“, რომელია ან სად არის, არავინ ვიცით და არა სუფევს არსად... „ქართველი“ რაღას ნიშნავს? ვიცით რომ არიან კავკასიაში“ „ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი“, „ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი“, ქართველები ვინ არიან, არც ვიცით და არც არიან არსად ჩვენს იმპერიაში...“

უძვირფასესო დემოკრატებო, თუ რუსეთის დემოკრატიულ გზას შევარდნაძისეული დოქტრინებით მივყვებით, მალე, ალბათ, „ჩვილი“ რუსი დემოკრატი განცვიფრებით შეგვეკითხება — რომელია საქართველო, რას ნიშნავს ქართველი? ჩვენ ვიცნობთ ვერელ დემოკრატებს, ვაკელ ინტელიგენტებს, თბილისელ გვარდიელებს, ამათში ქართველი რომელს ჰქვიაო? — და თქვენც გვიან, მაგრამ მაინც მიხვდებით, რომ ისტორიამ თქვენს შემეცნებით-ფილოსოფიურ იდეოლოგიას განაჩენი გამოუტანა — საქართველო დემოკრატიული რუსეთის კულტურულ (თუმცა დემოკრატიულ) ავტონომიად იქცევა. მასხარა რუსი იმპერიალისტ-დემოკრატები კი მსოფლიოს ამცნობენ, რომ თბილისის დემოკრატიული ინტელიგენცია, „სუვერენულ რესპუბლიკათა“ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ღმერთმა დაიფაროს ქართველობა და საქართველო ასეთი მომავლისაგან, ეყოფა ჩვენს სამშობლოს რუსთა უღლის ქვეშ ყოფნა. იმ ავბედითი „ტრაქტატის“ შემდეგ, მუდმივად რუსეთის იმპერიას, რუსულ ცენტრს, რუსულ ჯარს ვებრძვით. დღეს დადგა დრო, როცა მოგვეცა საშუალება განთავისუფლებისა და მოდით ისევ ილიას რჩევას მივუგდოთ ყური, მისი დროშის ქვეშ გავერთიანდეთ. შევარდნაძის წითელი, დემოკრატიული დროშა ვერაფერი თავშესაფარია ჩვენთვის:

„ვაი, იმ ქვეყანას საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თვითო არ არის და თვითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა — თვითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!“. (ილია, დროება, № 27).

**მაია ხვანიძე**

შეურიგებელი ოპოზიცია

# შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის

**გუშინ**

ოპოზიციის რჩეული ლიდერები საქართველოს პრეზიდენტს „შევარდნაძის აგენტობას“ აბრალებდნენ. მოსახლეობას პირდებოდნენ, რომ წარუდგენდნენ ამ „სამარცხვინო“ ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

დოკუმენტები, ცხადია, ვერ წარმოადგინეს.

მაგრამ ამ ცილისწამებისთვის ბოდიშის მოხდა დაავიწყდათ.

გავიდა ხანი.

**დღეს**

ოპოზიციამ პოზიცია შეიცვალა.

საქართველოს ერთადერთ იმედად და პატრონად, იგივე ოპოზიციურ წრეებში, შევარდნაძე გამოცხადდა.

**ფაქტი უკომენტაროდ:**

25 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მოწყობილი მშვიდობიანი მიტინგის დროს, ქ-ნი ლუიზა შაკიაშვილის ხელმძღვანელობით, დემოკრატი სტუდენტები სკანდირებდნენ:

**ქ-ნი ლუიზა შაკიაშვილი** — გაუმარჯოს შევარდნაძეს, ძირს ჩაუშესკუ!

**შეძახილები** — ძირს, ძირს, ძირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ქველმოქმედების აღორძინებისათვის

ე. ჭ. „მარქსიზმ-ლენინიზმის" იდიოტიზმამდე დასული დოგმების სამოცდაათწლოვანმა თარეშმა ქართველ ერში ჩაახშო ის ამაღლებული, ჰუმანური საწყისი, რომელიც ესოდენ ჰქონდა მომადლებული. ფეხქვეშ გათელა მისი მეობა. მაგრამ, საბედნიეროდ, ველიკორუსული და „ველიკოდერჟავული" სულისკვეთებით შეზავებულმა ამ შხამიანმა იდეოლოგიამ ვერ ჩაკლა ჩვენი ერის ძვალ-რბილში გამჯდარი ჟინი თავისუფლებისა, ერთ-ერთი უმთავრესი საგანი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა.

ჩვენ დღეს ზღურბლზე ვდგავართ, რომლის მიღმა საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერსპექტივები იშლება. ჩვენ ვდგავართ ზღვარზე სანუკვარი ოცნების აღსრულებისა.

დამოუკიდებელ ცხოვრებას კი უცილობლად სჭირდება აღდგენა იმ ამაღლებული ცნებებისა და კეთილი ტრადიციებისა, რომლებიც გადაგვავიწყა წითელი ურჩხულის სამოცდაათწლოვანმა ბატონობამ, ცნებებისა, რომლებსაც შინაარსი გამოაცალეს და საგინებელ სიტყვებად აქციეს. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ქველმოქმედება, რომლის ფესვები ღრმად, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაშია გამჯდარი.

ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში საქართველოში ცალკე ჩამოყალიბება იწყო „გლახაკთა" ფენამ. ეს გახლდათ კატეგორია ადამიანებისა, რომლებმაც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე დაჰკარგეს მიწები და იძულებულნი იყვნენ თავის რჩენის მიზნით სხვათა მიწები დაემუშავებინათ. შემდეგ, დროთა მანძილზე მათ დაემუქრა უკვე პირადი თავისუფლების დაკარგვის საფრთხე, რამაც ეს ხალხი ფეოდალური საზოგადოების კლასებისა და ურთიერთობებისაგან ერთგვარად გარეშე მდგომ ფენად ჩამოაყალიბა. გლახაკთა თავის რჩენის ძირითად წყაროდ მათხოვრობა იქცა. უკვე IX საუკუნის შუა ხანებისათვის მათი რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ აშოტ კურაპალატის ძემ, მეფე ბაგრატ I-მა (826-876) ხსენებული ასწლეულის დაახლოებით 60-იან წლებში დააწესა განსაკუთრებული გადასახადი — „გლახაკთა ნაწილი", რომელიც საგანგებოდ გლახაკთა ფენის დასახმარებლად იყო განკუთვნილი. XII-XIII საუკუნეებში ამ თანხამ მთელი სახელმწიფო შემოსავლის მეათედი („ნაათალი") შეადგინა.

გარდა ამისა, ისტორიული წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ხსენებული გადასახადის გარდა, გლახაკთა რჩენას ხმარდებოდა ქველმოქმედების სახით გაღებული თანხები. აღსანიშნავია ამ მხრივ მეფეთა აქტიური მოღვაწეობა. ცნობილია; რომ დავით აღმაშენებელმა თავისი პირადი სახსრებიდან გლახაკთათვის ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი (ფულის ერთეული გახლდათ) გამოჰყო.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე.

ქველმოქმედების ამ მეტად ჰუმანური ფორმის ჩამოყალიბებას საქართველოში მნიშვნელოვანი პირობები შეუქმნა პირველყოვლისა ქრისტიანულმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, VII საუკუნიდან მთელს აღმოსავლურ სამყაროში ფესვგამდგარმა მუსლიმანურმა რელიგიებმა, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა გლახაკთადმი თანადგომის, ქველმოქმედების იდეას.

რად ღირს თუნდაც გულმოწყალე სამარიტელის შესახებ იგავი (ლკ. 10, 30-35) იესო ქრისტეს იგავებიდან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს ჭეშმარიტი ქველმოქმედებისა. თვალსაჩინოებისათვის მოვიშველიებთ ამ იგავის ბაჩანა ბრეგვაძისეულ თარგმანს:

„ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონს მიდიოდა. ყაჩაღები თავს დაესხნენ, გაძარცვეს, დაჭრეს და დააგდეს ცოცხალ-მკვდარი. შემთხვევით ერთმა მღვდელმა გამოიარა იმ ადგილას. დაჭრილი რომ დაინახა, გვერდი აუქცია. ასევე ლევიტელმაც გამოიარა და მანაც თვალი მოარიდა. შემდეგ ერთმა სამარიტელმა გამოიარა, დაჭრილი რომ დაინახა, შეებრალა, მივიდა, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის სახედარზე, ქულბაქში (ასე უწოდებდნენ დუქანს, სადაც მგზავრებს ღამის გათევაც შეეძლოთ — ლ. უ.) მიიყვანა და მოუარა იმ ღამეს. მეორე დღეს ორი დინარი აიღო და მექულბაქეს მისცა, თან უთხრა: „დაჭრილს მოუარე და თუ ფული არ ეყოფა, უკან რომ გამოვივლი, კიდევ მოგცემ"-ო.

ეს იგავი იესო ქრისტემ იუდეველ სჯულისმსახურს მოუთხრო და ჰკითხა: ვინ არის შენი მოყვასიო. იუდეველი, რომელიც რელიგიური





თვალსაზრისით დაპირისპირებული იყო სამარიტელისადმი, ამ კითხვამ მიუხედავად დაპირისპირებისა, აიძულა ეთქვა, რომ სწორედ ეს სამარიტელი, ვითარცა პიროვნება იყო მოყვასი მისი. ამის შემდეგ ქრისტემ წარგზავნა იუდეველი სჯულისმსახური და დაარიგა: სიკეთე ექეთებინა ყოველი ადამიანისათვის, ყოველი გაჭირვებულისათვის, რომელი ტომისა და აღმსარებლობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ეს გახლავთ ნათელი მაგალითი ქრისტიანული გულმოწყალებისა.

რად ღირს თუნდაც ჩვენი ახლო წარსულის დიდებულ მოღვაწეთა: დიდი ილია ჭავჭავაძისა და გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის მოღვაწეობა.

თავისი მოურავისადმი მიწერილ ერთ ბარათში ილია წერდა:

„...თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაიტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ".

ეს მცირე ბარათი თვალნათლივ წარმოგვიჩენს დიდი წინაპრის ჭეშმარიტ სულისკვეთებასა და მოქალაქეობრივ მრწამსს. განა ცოტაა სხვა მსგავსი მაგალითები მისი ბიოგრაფიიდან?!

ზრუნავდა რა ხელმოკლე ოჯახების შვილების სწავლა-განათლებაზე, იგი 1877 წელს წერდა:

„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა.

...საქმე ეხლა იმაშია, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ჩვენმა ხალხმა, ამ საზოგადოებას (ილიას ინიციატივით შეიქმნა „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" — ლ. უ.) ხელი გაუმართოს და შემწეობა აღმოუჩინოს. ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა... ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი გროში, ამ დიდის საქმისათვის შეწირული, ჩვენს შვილებს მოხმარდება, მათის კაცად გაზრდისათვის, მათის ბედნიერებისათვის, მათის განათლებისათვის იმოქმედებს. აქ უკან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ საწყევარი".

ერთ-ერთ თავის ქადაგებაში გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი (ქიქოძე) აღნიშნავდა:

„იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს. მოწყალება ზეციერისა მამისა არის უსასყიდლო და უანგარო. იგი მოწყალებას იქმს მისთვის, რომ არის სახიერი, უყვარს ქმნილება თვისი. ეგრედვე შენ ეცადე რომ მოწყალება შენი არა იქმნეს პირმოთმინეობით და ანგარიშით. საუბედუროდ, შენ მოწყალებას იქმ ხშირად მისთვის, რათა გაქონ კაცთ, ანუ მისთვის, რათა მაგიერი მოგაგონ: ანუ მოწყალებას იქმ მხოლოდ მოყვრობით და ცნობით. არ გახსოვს შენ სიტყვა მაცხოვრისა: უკეთუ კეთილისმყოფელთა თქვენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქვენდა, რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ და უკეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესვათ კვალად მიღებასა, რომელი მადლი არს თქვენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებენ, რათა მოიღონ სწორი. (ლუკ. 3. ლგ, ლდ.).

იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს.

...ზოგიერთი კაცი არის მოწყალე და კიდეც აქვს შეძლება, რომ მოწყალება გასცეს, გარნა არა აქვს მოცალება ანუ გამოცდილება და ხშირად მოწყალება მისი იკარგება უსარგებლოდ და ზოგჯერ თითქმის კიდეც ავნებს და ზარალს აძლევს მათ, რომელთაცა აძლევს მოწყალებასა. განათლებულთა ქვეყანათა შინა ისე გონიერად არის მოწყობილი მოწყალების აღსრულება, რომელ ვისაც სურს მოწყალების გაცემა, ადვილად იპოვნის და გამოარჩევს, სად და რანაირად აღასრულოს თვისი მოწყალებითი სურვილი".

ამდენად, გააჩნია, ვის მიმართ, რა მიზნითა და როგორი სახით გასცემ მოწყალებას!

საუკეთესო მაგალითი სწორედ სრულქმნილი ქველმოქმედებისა გახლდათ მოღვაწეობა ძმები ზუბალაშვილებისა, დავით სარაჯიშვილისა, ფორაქიშვილებისა, ჯამბაკურ-ორბელიანთა ბრწყინვალე ოჯახის და სხვათა.

ხელმოკლე თანაქალაქელთა, მეზობელთა, შიშველ-ტიტველთა, ყმა გლეხთა თავდადებული ქომაგი და შემმოსავი, უანგარო მოჭირნახულე ყოფილა დავით სარაჯიშვილის მამა — ასევე ცნობილი მეცენატი და მეწარმე ზაქარია სარაჯიშვილი. მისი ხელით ბატონყმობიდან დახსნილა არა ერთი ყმა-გლეხი. მის მიერ უსასყიდლოდ გაცემული ტანსაცმლით იყო შემოსილი თბილისის მრავალი ხელმოკლე ოჯახი. ასევე უხვად გასცემდა მათხოვრებზეც, რომელთათვის მუდამ მოეძებნებოდა წვრილი ფული. დილომში მისი სახსრებით ეკლესია აღაშენეს, რომელსაც „თეთრი გიორგი" უწოდეს. ასე, რომ დავით სარაჯიშვილს ოჯახიდან მოსდგამდა საოცარი უნარი უანგარო მოწყალეობისა და ქველმოქმედებისა. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: დ. სარაჯიშვილის სახსრებით აშენდა ავლაბრის სახალხო თეატრის შენობა, მისივე სახსრებით ქართველ მუსლიმანთათვის ქართულად ითარგმნა და გამოიცა „ყურანი". იგი მფარველობდა და მეურვეობას უწევდა შორეული ფერეიდნიდან ჩამოსულ ქართველებს; მან დააარსა „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტი", რომელსაც თავად აფინანსებდა; აფინანსებდა საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო ექსპედიციებს, მისი სახსრებით აიგო ათობით დაწყებითი თუ სამოქალაქო სკოლა, გაყვანილ იქნა რამდენიმე ხიდი, მისი სტიპენდიებით იღებდნენ საშუალო თუ უმაღლეს განათლებას ხელმოკლე ქართველი მოსწავლეები და სტუდენტები. გასული ასწლეულის 90-იან წლებში დავით სარაჯიშვილის თაოსნობითა და ფინანსური შემწეობით შეიქმნა „მცხეთის სვეტიცხოვლის სარესტავრაციო კომიტეტი", მანვე დიდძალი თანხები გაიღო თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის (ამჟამინდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის) შენობის ასაგებად; თავისი ბრწყინვალე სახლი საქართველოს მწერალთა კავშირს უანდერძა...

ცნობილი მოღვაწე ნ. მაჭავარიანი ასე იგონებდა ამ ბრწყინვალე მამულიშვილს: „დავითი ყველას გაჭირვების ტალკვესი იყო. თუ ვინმე ავად გახდებოდა, ან ესაჭიროებოდა საზღვარგარეთ გამგზავრება, უსათუოდ დავითისათვის უნდა მიემართათ. ვინ აღარ იყო დავითის სტიპენდიანტი. მას ყოველწლიურად ასამდე სტიპენდიანტი ჰყავდა გაგზავნილი მოსკოვში თუ საზღვარგარეთ".

ჩვენდა საუბედუროდ, სამოცდაათწლიანმა თარეშმა წითელი ურჩხულისა იავარჰქმნა ჩვენს წინაპართა ეს საუკეთესო ტრადიციები, სალანძღავ და აუგადსახსენებელ სიტყვებად გაგვიხადა „ქველმოქმედება", „მეცენატობა", „გულმოწყალეობა", „მამულიშვილობა", „ნაციონალიზმი"...

სავსებით სამართლიანადაა შენიშნული წერილში „სიმდიდრე, შეძლება, ქონება" (იხ. გაზ. „თავისუფალი საქართველოს" ა. წ. 31-ე ნომერი): „ჩვენს ტრადიციულ დამოკიდებულებას სიმდიდრესთან ყველაზე სრულად რუსთაველი გამოხატავს — სიმდიდრე შეძლებაა და არა ქონება. ამიტომ „ვეფხისტყაოსანში" სიმდიდრის ხსენებას ყოველთვის ახლავს — წყალობა, სიუხვე, გაცემა..."

დიახ, შვიდი ათეული წლის მანძილზე ძალადობით დამკვიდრებულმა ყოვლად უსახო და ავადმყოფურმა დოგმებმა ტალახში ამოსვარა სიტყვა „სიმდიდრის" ჭეშმარიტი შინაარსი და იგი „ბევრი ფულის" ან, ქუჩური ჟარგონით რომ ვთქვათ „ბევრი მაყუთის" ქონით შეცვალა, ჩააქსოვა რა მასში ყოველივე მანკიერი.

ამ ბოლო დროს საქართველოში შეიქმნა არაერთი „საქველმოქმედო" საზოგადოება, რომელთა საქმიანობა რეალურად შორსაა ჭეშმარიტი ქველმოქმედებისაგან, უფრო სწორედ კი მის პაროდიას წარმოადგენს. მათი უმეტესობა ხომ საბჭოთა წყობის პირმშოა!

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ზღურბლზე ვდგავართო, ვთქვი და ისიც აღვნიშნე, რომ უნდა აღვადგინოთ ძველი, კაცთმოყვრული, გულმოწყალეობითი ტრადიცია ქველმოქმედებისა და არა ზემოხსენებული ფსევდოქველმოქმედება. სწორედ ამიტომ მსურს ამ მცირე წერილის დასასრულს ჩემი დიდი სურვილიც გაგიმხილოთ: დაე, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასთან ერთად აღდგეს შესანიშნავი ტრადიცია თითოეული ჩვენთაგანის მიერ ღარიბთა და ხელმოკლეთათვის აუცილებელი გამოსაღების გაცემისა. არაფერი მოხდება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა სრულწლოვანმა და სათანადო შეძლების მოქალაქემ ამ მიზნით ყოველთვიურად თითო მანეთი გაიღოს! აღვადგინოთ ქვრივ-ობოლთა და უსახლკაროთათვის უანგარო დახმარებისა და წყალობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია!

**ლევან ურუშაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „განირყუნეს სანადირონიცა"

— **როგორ** მოხდა, რომ მუხრანის სახოხბე მეურნეობის დირექტორს, რომელსაც 200 ათასი მანეთი ზარალი აღმოაჩნდა, პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად შავი ვოლგა შეასყიდეთ და მშვიდობიანად გააცილეთ?

ასეთი კითხვა დაუსვა გასული წლის 29 აპრილს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის მონადირეთა სექციის ერთ-ერთმა წევრმა მონკავშირის ხელმძღვანელობას.

—თუ ასე გწყდებათ გული, მანქანას თქვენც შეგასყიდითო, იყო პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. მგელიაშვილის პასუხი.

საზოგადოებაში, სადაც პატივს სცემენ კანონს და მიღებულია, რომ დანაშაული დაისჯება, ასეთ განცხადებას აღშფოთებით შეხვდებოდნენ, მაგრამ 70 წლის გაუკუღმართებულმა ზნეობამ ვაი, რომ მასობრივი უზნეობის ხასიათი მიიღო.

სწორედ ამიტომ იყო, რომ თავმჯდომარის ამ პასუხს გადაჭედილი დარბაზიდანაც დაუჭირეს მხარი. ერთ-ერთი რაიონული მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარე კრიტიკას ასეთი შეძახილით შეხვდა:

— რითი ხართ უკმაყოფილო, თქვე კაი ხალხო! ჩამოსულხყავით ჩვენთან, კარგად განადირებდით, კარგადაც გაქეიფებდით და ისე გამოგიშვებდით.

აი, ასე, თუ ქვეყნის გაძარცვა გინდა, ძარცვე, ვინ დაგიშლის. თუ მაინც გტაცეს ხელი, ნუ გეშინია, ჩუმად გაგიშვებთ, რომ არ გეწყინოს შავ ვოლგასაც გამოგაყოლებთ. თუ რაიმეთი უკმაყოფილო ხარ, მოდი ჩვენთან, ცოტას შენც მოგიტეხავთ, განადირებთ, კარგადაც გაქეიფებთ, ოღონდ გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო!

საქართველოს ისტორია საინტერესო პარალელების გავლების საშუალებას იძლევა.

ქართლის მეფის, როსტომის მეფობა რაღაცით ძალზე წააგავდა კომუნისტების ბატონობას საქართველოში.

როსტომმა ტახტი სპარსეთის ჯარის მეშვეობით ჩაიგდო ხელში. ამ ჯარში ქართველებიც იყვნენ. მაჰმადიანი ბაგრატოვანი სპარსეთის ყურმოჭრილი მონა იყო. რომ გარდაიცვალა, წაიღეს სპარსელებმა და თავიანთ რელიგიურ დედაქალაქ ყუმში დაკრძალეს.

როსტომი გარკვეულ აღმშენებლობას ეწეოდა. თბილისში სასახლე ააშენა. მდინარე ხრამზე რომ წითელი ხიდია — მისი გადებულია. მაგრამ ამავ დროს, როგორც ქართლის ცხოვრება გვაუწყებს:

„მას ჟამსა იწყო ქართლის წესმა და რიგმან გარდაცვალება და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის მოყვარება... ამასა შინა მოუძლურდა სჯული..." **და „განირყუნეს სანადირონიცა".**

კომუნისტთა მამამთავარი ვლადიმერ ულიანოვი ნადირობდა იაფფასიანი ჩახმახიანი თოფით, რომელიც უმცროსმა ძმამ, დიმიტრი ილიას ძემ უყიდა. რევოლუციის ბელადი ლენინი კი ბელგიური ფირმის დეფურნის უძვირფასესი თოფით, რომელიც მას ჩეკას საწყობებიდან მიართვეს. ლენინს მეტი არ დასცალდა. რაც შეეხება მის მემკვიდრეებს, მათ ყველა სხვა სიამოვნებასთან ერთად არც ზღვარდაუდებელი ნადირობის სიამოვნება დაიკლეს.

იქ, სადაც წარსულში ქართველი მეფეები ღიად, მოსახლეობისაგან დაუფარავად ნადირობდნენ, კომუნისტური ელიტა საზოგადოებრიობისაგან, საკუთარი ხალხისაგან ფარულად, საიდუმლოდ იკმაყოფილებდა პირად მონადირულ მოთხოვნილებებს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ თვით „ღვთით კურთხეული" რუსეთის იმპერატორიც კი ნადირობისას თურმე მკაცრად იცავდა ნადირობის წესებსა და ვადებს, რასაც ვერ ვიტყვით მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვით შუბლდაღარულ პარტოკრატებზე.

50-იან 60-იან წლებში, როცა რესპუბლიკას სათავეში მონადირე მმართველი იდგა, ნადირ-ფრინველი ასე თუ ისე, მონკავშირის კუთვნილ სანადირო მეურნეობებშიც იყო. მათში ტიპიური პროექტით ააშენეს მონადირის სახლები ცენტრალური გათბობით, საბილიარდოებით, საძინებელი ოთახებითა და საბანკეტო დარბაზებით, გააწყვეს უცხოური ავეჯითა და სერვიზებით. ოფიციალურად ისინი „მონადირის სახლებად" იწოდებოდნენ, ხალხი კი მათ დღესაც „მჟავანაძის სახლებად" მოიხსენიებს.

შემდეგ, როდესაც რესპუბლიკას სათავეში არამონადირე ჩაუდგა, ეს ყოველივე განიძარცვა და გაჩანაგდა. სანადირო მეურნეობები პარტოკრატიის მსახურთა და რეგიონალური რანგის ფუნქციონერთა სათარეშოდ იქცა. „მონადირის სახლები" ლოთობისა და გარყვნილების ბუდეებად გადაიქცა. განადგურდა ფლორა და ფაუნა.

მონკავშირის კუთვნილი ახალგორის სანადირო მეურნეობა, სადაც ირმები, შველი და დათვი ბინადრობს, ამ ჯურის, „კანონიერ" ბრაკონიერთა ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

ამ მეურნეობაში სისტემატურად ნადირობდა ბრაკონიერთა ერთი ჯგუფი ვინმე ვიტალი მ-შვილის ხელმძღვანელობით, რომელთაც ფაუნის დაცვის სექციაში (სექციას ამ დროს საზოგადოებრივ საწყისებზე ვხელმძღვანელობდი) „პარიკმახერებს" ვეძახდით. ისინი ყველას თავს ცეკას პარიკმახერებად აცნობდნენ. ვერ ვიტყვი, ეს სინამდვილე იყო თუ არა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ერთი ფაქტი:

1986 წლის ნოემბერში ფაუნის დაცვის სექციამ დეპეშები დაუგზავნა სანადირო მეურნეობათა მესვეურებს. ვიცოდით, რომ იქ, „სადღესასწაულო" დღეებში მოსალოდნელი იყო ბრაკონიერთა მოძალება. მართლაც ინსპექტორმა და ეგერმა დააკავეს „პარიკმახერთა" ჯგუფი, რომელიც დათვზე ნადირობდა. ბრაკონიერებმა დაჟინებით მოითხოვეს რაიკომში მიგვეყვანეთ. რაიკომის მდივნის ბრძანებით ისინი გაათავისუფლეს...

კომუნისტურმა რეჟიმმა მონადირეთა საზოგადოება ყოფილ რაიკომის მდივანთა და სხვა ვადაგასულ პარტიულ ფუნქციონერთა თავშესაფარ ადგილად აქცია. მონკავშირის თავმჯდომარის არჩევით პოსტზე, როგორც წესი ცეკადან ინიშნებოდნენ. წინანდელი თავმჯდომარე წითელწყაროს რაიკომის ყოფილი მდივანი იყო, დღევანდელი — თიანეთისა. ასეთივე პრინციპით „ირჩეოდა" მონკავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობა.

რაიკომის ყოფილ მდივნებს მონადირეთა საზოგადოებაში მოჰქონდათ პარტოკრატიისათვის დამახასიათებელი მუშაობის მთელი არსენალი: სიყალბე, სიცრუე, თვალის ახვევა, პროტექციონიზმი, ლაფში ჩაფლული ურმის შინმიტანილად გასაღება, სიტყვის გატეხა, საქმისგამფუჭებელთა დაჯილდოება და საქმისგამკეთებელთა დევნა.

ის სახოხბე მეურნეობა, რომლის შესახებაც წერილის დასაწყისში ვწერდით, ჯერ კიდევ 1985 წელს უნდა ამოქმედებულიყო და 70 ათასი დალონებული მონადირის გულის გასახარად ბუნებაში ყოველწლიურად 50 ათასი ხოხობი გეუშვა.

ამ მეურნეობას ბუნებაში ჯერ არც ერთი ხოხობი არ გაუშვია, როდესაც მისი დირექტორი „კარგი მუშაობისათვის" გაათავისუფლეს და ჯილდოდ შავი ვოლგაც შეასყიდეს.

15 წელიწადია მონკავშირს დღევანდელი ხელმძღვანელობა უდგას სათავეში. ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შესრულებულა მონკავშირის წესდებით გათვალისწინებული მონადირეთა უპირველესი მოვალეობა, შრომითი მონაწილეობის სავალდებულო მინიმუმი.

გაუქმდა თბილისის სასროლეთისტენდი, რომელმაც ქვეყანას არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის სპორტსმენი აღუზარდა. მის ადგილას მონკავშირის ხელმძღვანელობამ საცხოვრებელი სახლი აიშენა.

გაუქმდა ძაღლსაშენი და ძაღლსაგეში.

მონკავშირის ხელმძღვანელობამ შექმნა არაერთი სანადირო მეურნეობა, რომელთა მოწყობასა და შენახვაზე დიდი დრო, ენერგია და სახსრები დაიხარჯა. შედეგი? მხოლოდ ზარალი. ამოცანები კვლავ განუხორციელებელი დარჩა.

ამ მეურნეობებში ვერ მოხერხდა ადგილობრივი, სანადიროდ ათწლეულობით აკრძალული ცხოველების მომრავლება და მათზე ნადირობის დაშვება. საქართველოს მონადირეები დღესაც მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობენ.

დიდძალი თანხა დაიხარჯა, მაგალითად, დიდგორის სარაიონთაშორისო სანადირო მეურნეობის მოწყობაზე და შენახვაზე. საბოლოო შედეგი აქაც სავალალო აღმოჩნდა. ეს მეურნეობა დახურეს, მის დირექტორს ისევ, ალბათ კარგი მუშაობისათვის ავტომანქანა „კოლხოზნიკი" შეასყიდეს და სხვა, უფრო სარფიან თანამდებობაზე გადაიყვანეს.

ამ მეურნეობის ბაზაზე შექმნეს კოოპერატივი, რომელიც შარშან მაისში ტელევიზიით მოსახლეობას სთავაზობდა... პამიდვრის ჩითილებს.

კახეთში შექმნეს ილიზნის სარაიონთაშორისო სანადირო მეურნეობა. ვერ მოამრავლა ვერც ამ მეურნეობამ ნადირ-ფრინველი...

ეს მეურნეობაც დახურეს და მის ბაზაზე შექმნეს დამხმარე მეურნეობა. მაგრამ დახეთ ბედის ირონიას, ვერც შინაური ქათმების და ღორების მოშენება შესძლეს მისმა მესვეურებმა. საეჭვო ვითარებაში ჩამოიწერა უამრავი ქათამი და ღორი. ზარალმა 100 ათას მანეთს გადააჭარბაო, ამბობენ.

ამგვარი „ნაყოფიერი" მოღვაწეობისათვის მონკავშირის ხელმძღვანელობას მადლობა არ დაჰკლებია.

„სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის განვითარებასა და ბუნების დაცვაში მიღწეული წარმატებებისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვეს მონკავშირის თავმჯდომარე ნ. მგელიაშვილი და ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა". „სოფლის ცხოვრება". 1986. 19.X.

სწორედ ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტიაო.

ორმოცდაათიან წლებში ხელისუფლებისაგან შევიწროვებულ შალვა ხუცუბიძეს მეგობრისათვის შეუჩივლია: ყველა საზოგადოებიდან გამრიცხეს მონადირეთა საზოგადოების გარდაო. თუ იმ წლებში მონკავშირი გარკვეული გაგებით სასიკეთო გამონაკლისს წარმოადგენდა — დღეს პირიქითაა. არათუ საქართველოში, თვით საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე განიდევნენ კომუნისტები ხელმძღვანელი პოსტებიდან. მონკავშირი ერთადერთი ფაზისია, რომელშიც შემორჩა კომუნისტური მმართველობა.

ჩვენი წერილი დასაბეჭდად იყო მზად, როცა გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნდა მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის პასუხისმგებელი მდივნის ზვიად ბუთურიშვილის შესანიშნავი წერილი „როგორ ყიოდა ხოხობი" (20.09.91.).

ამ წერილის გამოქვეყნება ნიშანია იმისა, რომ მონადირეთა სექციის წევრთა ის ნაწილი, რომელსაც კიდევ ჰქონდა მონკავშირის ხელმძღვანელობასთან პოზიტიური თანამშრომლობის იმედი, მიხვდა საბოლოოდ, რომ არ გათეთრდების ყორანი, რომ საწოვარას მიკრული „კომუნისტური მაფია თავის ნებით არ გაანებებს მას თავს და ყველა ღირსი თუ ულირსი მეთოდებით კვლავ ეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას.

რაც შეეხება მონკავშირის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. მგელიაშვილის პასუხს — იგი კომუნისტთა დემაგოგიის ისეთივე ნიმუშს წარმოადგენს, ათეულწლობით, ზარზეიმითა და ტაშისკვრით კომუნიზმს რომ აშენებდნენ და ქვეყანა შიმშილამდე მიიყვანეს.

ბატონ კონსტანტინეს უბრძანებია: „მხოლოდ ოფოფი შეეცნობა თავით, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთიო". კითხულობთ ამბელა წერილს და ეძებთ ბოლოს, ბოლო კი არა ჩანს. კაცი ვერ მიხვდება რა გაუკეთებია ამ ადამიანს თავისი 15-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ისეთი, რაც 70 ათასი ქართველი მონადირის გულს გაახარებდა.

ვფიქრობთ, ბატონ ზვიად ბუთურიშვილის წერილში მოყვანილი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრას და დაიწყოს გამოძიება. საჭიროა მონადირეთა მოწინავე ნაწილმა შექმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წინაშე დააყენებს მონკავშირის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს. ამით მონკავშირის ყრილობის მოწვევის საკითხიც ავტომატურად გადაწყდება და ბოლო მოეღება მონადირეთა საზოგადოებაში კომუნისტთა 70-წლიან ბატონობას. იმათ ბატონობას, რომელთაც „განირყუნეს სანადირონიცა".

**ოთარ ლომთაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. საპატიო მონადირე.**

# დაუსჯელობის სინდრომი
## პასუხი ნიკო მგელიაშვილს

**ბატონო** ნიკო! ჩემს წერილს თუ გამოეხმაურებოდით, პირდაპირ გეტყვით, არ მეგონა. მაგრამ ადამიანს, რომელსაც შუბლის ძარღვი გაუწყდება — ალარაფერი მოეთხოვება. ჩემდამი მოძღვნილ ამ წერილს ამშვენებს სიტყვები, რომლებიც, გამოგიტყდებით, ნამდვილად მომეწონა, ესენია: „შეთითხნილი ფაქტების კონგლომერატი", „გესლიანი პასკვილი". „სიბინძურე — რაც ასე უხვადაა გადმონთხეული გაზეთის ფურცლებზე" (ნუთუ სიმართლეს სიბინძურეს ეძახით?!), „უკბილო სენსაცია" და სხვა.

ყოჩაღ, ბატონო ნიკო! (აქვე მინდა ხოტბა შევასხა იმ ჟურნალისტსაც, წერილი რომ დაგიწერათ ასე მაღალპროფესიონალური ოსტატობით), თქვენი არ იყოს, პასუხის გაცემას ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ ჯერ ერთი, არ მიყვარს, მართალ კაცს რომ აგინებენ და მეორეც — უკაცრავად და ძალზე გამაღიზიანა თქვენი უტიფრობის დონემ.

თქვენს საქციელში გასაკვირი არაფერია. თქვენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ტოლ და მის იდეებზე გაზრდილ კაცს, კარგად მოგეხსენებათ კომუნისტების ზნე და ხასიათი. ამიტომ დაჟინებით ცდილობთ, თქვენი ჯიუტი ხასიათის გამო — თეთრი სხვასაც შავად მოაჩვენოთ და არად ჰიგაჩნიათ ის ფაქტი, რომ მთელის ძალისხმევით ანგრევთ ისედაც დანგრევის პირას მისულ საქმეს. სარგებლობთ რა ქაოსით — რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაშია — დაუფიქრებლად ანიავებთ მონკავშირის ქონებას. ეს არ გეკადრებათ.

ბატონო ნიკო, მინდა იცოდეთ!

საქართველოში აბსოლუტურად ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ გამრავლდეს ისეთი ნადირ-ფრინველი, როგორიც არის: გარეული ღორი, ჯიხვი, არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, დათვი, ხოხობი, კაკაბი, გნოლი და სხვა. ეს კი საორმავლოდ ძალზე კარგ პირობას გვიქმნის იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში განვითარდეს ტურისტული ნადირობა. ეს ყველა მოწინავე ევროპულ ქვეყანაში შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა.

1 ცალი კოლხური ხოხბის მოკვლა ჩეხოსლოვაკიაში გერმანელ ტურისტ-მონადირეებს 30-დან 50 მარკამდე უჯდებათ. თითოეულს შეუძლია ნადირობის პერიოდში (3 დღიდან 1 კვირამდე) 1000-მდე ხოხობი მოკლას და თანაც ბუმბულის და ხორცის 100 პროცენტს ადგილზე ტოვებს.

ჩვენ კი კოლხური ხოხბის მშობელ ქვეყანაში გვიშველის ვითომ მუხრანის სახოხბე მეურნეობა, ანდა ეს 9 ირემი და 12 სული ირემლაღი, რომლის შესახებაც უკვე 5 წელია მესმის?

ამერიკასა და კანადაში ბუნებრივ პირობებში მოკლული დათვი 5 000-დან 10 000-მდე დოლარამდე ღირს. რამდენი დათვი, ჯიხვი და არჩვი კვდება ჩვენთან ბრაკონიერებისაგან ყოველწლიურად?

ამჟამად რესპუბლიკის მონკავშირს ამოწმებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში ახლად შექმნილი ეკოლოგიური განყოფილების თანამშრომელი ბატონი ლევან ქუთათელაძე.

მივმართავთ რესპუბლიკის მთავრობას! (რადგან ვერაფრით დავადგინე უშუალოდ ვის დაქვემდებარებაშია დღეს მონკავშირი).

მართალია დღევანდელ დაძაბულ სიტუაციაში არავის ცალია ამ საზოგადოებისათვის, მაგრამ გთხოვთ, გამონახოთ დრო და ამ საქმით დაინტერესებული მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი მიამაგროთ მონკავშირს კურატორად. დღეს რაც მეტი სანადირო სახლი დაინგრევა და გაიყიდება, ხვალ იმდენი მომეტებული თავსატეხი გაგვიჩნდება და ეს სამომავლო საქმე მით უფრო გვიან აყვავდება ჩვენში. ნადირობა ტურიზმთან ერთად გაგვიხსნის გზას ევროპის ქვეყნებისაკენ.

**ზვიად ბუთურიშვილი**
**ეკოლოგიურ ასოციაციასთან არსებულ მონადირეთა სექციის პასუხისმგებელი მდივანი**

# თავისუფალი ცის ქვეშ
## ანუ
# ნავალთ თუ არა ტალინში

**ტალინში** მიმავალს, თვითმფრინავშივე გამიკრთა ეჭვი, მომიწევს თუ არა ოდესმე ესტონეთში დაბრუნება? გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა მანეთი თანდათან უსარგებლო ქაღალდად იქცევა, ხოლო ვალუტის სიმრავლით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი.

ჩემი ეჭვები პირველსავე დღეს გამართლდა. მიუხედავად მასპინძელთა დიდი მონდომებისა და ყურადღებისა, ვერაფრით ვერ მოვახერხეთ დავკავშირებოდით ეკონომიკის დარგში მომუშავე რომელიმე ხელმძღვანელ თუ რიგით სპეციალისტს. ყველანი სესიაზე იყვნენ, სადაც მიმდინარეობდა დისკუსია საკოთარი ფულის შემოღების პრობლემებზე.

ესტონური კრონები, ალბათ, სულ მალე დაიბეჭდება (როგორც შევიტყვეთ, ახალი ფული ფინეთში მზადდება), ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია საზღვრის გახსნა, რასაც აუცილებლივ მოჰყვება უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმართა ნიაღვარი, მანეთი საბოლოოდ იქცევა სუვენირად და ჩვენც ესტონელთათვის „უსარგებლო" სტუმრები გავხდებით.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ესტონეთი არამც და არამც არ ჩაერთვება იმ პროცესში, რასაც მკვდარი საბჭოეთისა და მკვდარი მანეთის გაცოცხლების უტოპიური იდეა ჰქვია, პირიქით, ისინი თვლიან, რომ სისულელეა რეალური პრივატიზაცია დაიწყოს მანამ, სანამ რესპუბლიკაში სრულიად არ შეწყდება მანეთის წრებრუნვა და სამამულო ფული არ დაიკავებს მის ადგილს.

მიუხედავად ხანგრძლივი სესიებისა და დავა-კამათისა, ეკონომიური სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. ფასები 40-50-პროცენტით მეტია ჩვენსაზე. პური, ხორცი, რძის პროდუქტი ძვირია, ხოლო სასმელს, საერთოდ ოქროს ფასი ადევს. საწვავი ლიმიტირებულია. დღეს უკვე მხოლოდ სასწრაფო და პოლიციის მანქანებს ეძლევათ ბენზინი, თუმცა, ტალინელები ყოველივე ამას წყნარად ეკიდებიან და ერთმანეთს არ აშინებენ, მოიცათ, მოვიდეს ზამთარი, როგორ ლხვიხოცებით შიმშილითო, პირიქით, ლაპარაკის მაგიერ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას ეკონომიკური სიძლიერე ამოუყენონ მხარში.

საერთოდ კი, ტალინელები წყნარი ხალხია. მთელი ქალაქი შემოვიარე, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არათუ ცენტრში, თვით გარეუბნებშიც კი, არც ბარიკადი, არც „ბეტეერი", არც ზარბაზანი და არც თოფიან-ავტომატიანი ხალხი არ შემხვედრია. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ვიმედოვნებ, კიდევ მოვხვდე ესტონეთში, მხოლოდ ერთი პირობით... თუ ვალუტა ვიშოვე.

**არჩილ ბულედანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ „დრონის“ დემაგოგიის შესახებ

**ყოველი** ჩვენთაგანი მიეჩვია გაზეთ „დრონი“-ს და საერთოდ, — ე. წ. „ოპოზიციური პრესის“ ანტიხელისუფლებრივ ეიფორიას, რომელიც სნეულის აგონიურ მდგომარეობას უფრო გვაგონებს, ვიდრე გონიერ პიროვნებათა ლოგიკურ მსჯელობას. შეიძლება ბევრ პუბლიკაციაზე, არც კი ღირდეს ყურადღების გამახვილება, მაგრამ არ შეიძლება არ ავიმაღლოთ ხმა, როდესაც საქმე შეეხება აშკარა და სავსებით მიზანდასახულ უზნეობას, ქართველი ერის და მის ღირსეულ შვილთა მეობის შელახვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ შემიძლია, ჩემი გულისწყრომა არ გამოვხატო გაზ. „დრონი“-ს ერთი ქმედების გამო. არა, ეს გულისწყრომა არ შეეხება ჩვენი რომელიმე „ოპოზიციონერის“ მოსაზრებებს, ან მათთვის ჩვეულებად ქცეულ ხელისუფლების ლანძღვას. არა, იგი შეეხება გაზეთის მთელი რედაქციის ზნეობას, უფრო სწორად კი უზნეობას, უზნეობას, რომელმაც ვინ იცის მერამდენეგზის იჩინა თავი ამ გაზეთის ფურცლებზე.

22 ნოემბრის ნომერში, დაიბეჭდა ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მამულიშვილის ვასილ წერეთლის (1862-1937) სტატია „მოქალაქეობა და თავისუფლება“, რომელიც გადმოუბეჭდავთ გაზ. „საქართველო“-ს (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს) 1920 წლის 2-6 აპრილის ნომრიდან.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ვ. წერეთლის ბიოგრაფიის ერთ თარიღზე, „ვ. წერეთელი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა“-ო, გვამცნობს „დრონი“-ს რედაქცია. გამომდინარე იმ გარემოებებიდან, რომ იგი გახლდათ ბაბუაჩემის, — 20-30-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილის, 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლის, ევგენ ღვალაძის ნათლია და ნათესავი, მისი ბიოგრაფია კარგადაა ჩემთვის ცნობილი. ვასილ წერეთელი არ ყოფილა რეპრესიების მსხვერპლი, იგი თავისი სიკვდილით გარდაიცვალა 1937 წელს. მიზეზი კი გახლდათ მისი ვაჟის, გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, გიორგი წერეთლის იმ ხანებში დაპატიმრება, რამაც სიცოცხლე მოუსწრაფა დასნეულებულ მოხუცს,

ახლა კი, რაც შეეხება უშუალოდ წერილს „მოქალაქეობა და თავისუფლება“, კერძოდ კი იმას, თუ რატომ არის მისი „დრონში“ დაბეჭდვა უზნეობა.

ჯერ ერთი, იგი მოიცავს იმ პერიოდს, როდესაც საქართველომ მეფის რუსეთის 117-წლიანი ბატონობის შემდეგ, პირველად დააღწია თავი მონობას, როდესაც საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური განათლების დონე დაბალი გახლდათ, როდესაც საქართველოში მძვინვარებდა წითელი ტერორი, დათარეშობდნენ „წითელი“ ტერორისტული რაზმები, როდესაც იატაკქვეშეთიდან საზოგადოებას შხამავდა კომუნისტური (იმხანად ბოლშევიკური) პარტია, როდესაც სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია-პროპაგანდით გონებადაბნელებული მოსახლეობისათვის მთავარი იყო სოციალურ-ეკონომიკური კეთილყოფა და არა ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი. მეორეც, ქვეყანას სათავეში ედგა ანტიქართული, მარქსისტული იდეოლოგიის მფრქვეველი, ეროვნულ-ნიჰილისტური სულისკვეთებით თავით-ფეხამდე გაჟღენთილი, თავის დროზე დიდი ილიას მკვლელობის მოთავე სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საუკუნის მკვლელობიდან სულ რაღაც ათიოდ წლის შემდეგ, საქართველოს სათავეში აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატთა ბედმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, მართლაც დაასამარა საქართველოს სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა. ყოველივე ზემოთქმული მშრალ ჩამონათვალად რომ არ დარჩეს და მათთვის ესოდენ ჩვეული პროვოკაციული შეკითხვებისათვის საფუძველი რომ არ შევუქმნათ ჩვენს „უდემოკრატიულეს“ ოპოზიციას, კონკრეტული ფაქტებით ვუპასუხებთ კითხვას, თუ რატომ ედგა ვასილ წერეთელი და მისი მსგავსი სალად მოაზროვნე თითქმის ყველა მოღვაწე. ოპოზიციაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ვიმეორებ, არა ხელისუფლებას არამედ კონკრეტულად სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას (თუმცა, არასდროს მისცემდნენ თავს უფლებას ისეთი მოქმედებისა, როგორც მოქმედებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიცია).

სწორედ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ 1893-1918 წლებში, დიდი ილია ჭავჭავაძისთვის ნასროლი ბერდანის ტყვიებს გარდა, ვერაფერი გაიმეტა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მან და მისმა იდეოლოგებმა ყოვლად აპოლიტიკურ მოსახლეობაში სოციალური თანასწორობის მარქსისტული დოგმების ზღვარდაუდებელი და კარგად ორგანიზებული აგიტაცია-პროპაგანდით, მთელს საქართველოში გაავრცელა მარქსიზმის მავნე მეტასტაზები. 1917 წელს, რუსეთის დროებითი მთავრობისა და მენშევიკური ცაკ-ის დაშლამდე (ნაწილობრივ შემდეგაც) ქართველ მენშევიკთა მთელი იდეები „დიადი რუსეთისაკენ“ იყო მიმართული. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სეიმის შექმნაც იძულებით, დროებით მოვლენად მიაჩნდათ „ესდეკებს“, აქაოდა, რუსეთის დემოკრატიული დამფუძნებელი კრების არჩევას დაველოდებითო. „ოზაკომს“ სწორედ ამ ცაში გამოკიდებული დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ უნდა შეედგინა დროებითი ხელისუფლება, რომლის უმთავრეს მიზანს კვლავ „დიდი რუსეთის“ საზღვრებში შესვლა წარმოადგენდა (იხილეთ ვ. ნოზაძის სტატია „ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, რომელიც ჟურნალ „ორნატის“ (პარიზი) 1934 წლის მე-3 ნომერში დაიბეჭდა).

1917 წლის დამლევს ოსმალეთის სარდლობა ამიერკავკასიის, უმეტესად ქართველი მენშევიკებისაგან დაკომპლექტებულ კომისარიატს მიმართავდა წინადადებით, რათა ამ უკანასკნელს თავი გამოეცხადებინა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციის მთავრობად. აქ, ბუნებრივია, ოსმალეთს თავისი ანგარებითი მიზნები ამოძრავებდა, რაც შეეხება კომისარიატსა და სეიმს, იგი კვლავინდებურად რუსეთის „დემოკრატიული დამფუძნებელი კრების“ არჩევნებს უცდიდა. სწორედ ამიტომ, ოსმალთა მხრიდან გაფრთხილებულმა ამიერკავკასიის სეიმმა არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე.

1918 წლის 4 იანვარს სეიმის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული:

„გვსურს რა შევკრათ ზავი იმ საფუძველზე, რომელიც მისაღებია რუსეთის დემოკრატიისათვის, საჭიროდ ვრაცხთ, შეგატყობინოთ, რომ ჩვენ, წარმოვადგენთ რა რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს, შეგვიძლია შევუდგეთ ზავზე მოლაპარაკებას მხოლოდ ეხლახან შეკრებილი დამფუძნებელი კრებისაგან (იგულისხმება სწორედ რუსეთის დამფუძნებელი კრება — ლ. უ.) სათანადო უფლებამოსილების მიღების შემდეგ“ (ვ. ნოზაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23).

მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებული იმედების გაქარწყლებისა და სანუკვარი დამფუძნებელი კრების ტყვანშივე მოხრჩობის შემდეგ, ამიერკავკასიის სეიმი იძულებული გახდა გამოეცხადებინა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დანაშაულად, შეუწყნარებლად მიმაჩნია ვასილ წერეთლის სტატიის დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის ესოდენ მახინჯი სახით მისადაგების მცდელობა, მისი „ოპოზიციის“ ინტერესებისდამიხედვით გამოყენება, რითაც იბღალება დიდი ქართველი მამულიშვილის წმინდა სახელი და ნათელი ხსოვნა.

ყოველივე ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ეროვნულ პლატფორმაზე მდგომი პარტიები უპირისპირდებოდნენ მაშინდელ ხელისუფლებას. ისინი მთავრობისაგან ეროვნული ინტერესების დაცვასა და განხორციელებას მოითხოვდნენ. დღეს კი, ოპოზიციის მთელ მოქმედებას ეტყობა, რომ მათი საბოლოო მიზანი სწორედ იმის საპირისპიროა, რისთვისაც რევაზ გაბაშვილი, ვასილ წერეთელი და სხვები იბრძოდნენ. დღევანდელი ოპოზიციის მეცადინეობა იქეთკენაა მიმართული, რომ როგორმე განახლებულ იმპერიაში მიგვაბრუნოს. ამიტომ მაშინდელი ხელისუფლების პოზიციაზე თვითონ დგას და ცოტა არ იყოს უხერხულია ჩვენზე თავისი ცოდვების გადმობრალება, უხეირო ანალოგიის მოხმობით.

სიამოვნებით უთმობენ რა ყურადღებას ვ. წერეთლის მოსაზრებებს ბეჭდვითი სიტყვისა და საზოგადოებრივი აზრის თავისუფლების, პარტიული დოგმების ტყვეობიდან ხალხის განთავისუფლების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობის შესახებ, „დრონი“-ს მესვეურნი არად დაგიდევენ წერეთლის ბოლო ფრაზებს:

„უეჭველია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა ამ სოციალურ ევოლუციას დააჩქარებს.

დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ მაშინ იქნება იმავე დროს თავისუფალი საქართველო“.

სტატიის ამგვარი ფინალი, ნათელს ხდის ავტორის ჭეშმარიტ სულისკვეთებას: სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს არავითარი სხვა სახის დამოუკიდებლობა და თავისუფლება!

მაგრამ ჩვენი სიტყვები კედლისთვის ცერცვის შეყრას ჰგავს: რა უნდა შეაგნებინო ხალხს, რომელთა მთავარ საზრუნავად, ისევე როგორც ერთ დროს, იმ პარტიისათვის რომელსაც ვ. წერეთელი ებრძოდა, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ჩაკვლა გამხდარა; რომელნიც მზად არიან ამ მიზნის ხორცშესხმისათვის თვით სატანასაც კი შეეკრან. აკი, შეეკრნენ კიდეც!

ლ. უ.

# განა ცოდვები მათ სინდისზე ცოტაა?

**ადამიანის** სოციალური უფლებების დაცვის ყოველკვირეული გაზეთი „ქომაგი“, 1991 წლის 26 სექტემბრის 39-ე ნომრის მეორე გვერდზე იუწყება, რომ შაბათს, ცნობილი ფოტორეპორტიორი გენადი სანაია „აგრესიულობის ობიექტი“ გამხდარა, იგი მთავრობის სასახლის წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მჯდომარე აქციის გადაღებას აპირებდა, გადაუღია კიდეც დიდი გაჭირვებით 3-4 კადრი, მაგრამ ამ დროს „აზარტში შესულმა ხალხმა“ აპარატი გამოგლიჯა, მკლავები დააკაწრა, კიდევ კარგი, მილიცია ჩაერია საქმეში, ფოტორეპორტიორს აპარატი დაუბრუნეს.

„სამწუხაროდ — განაგრძობს ინფორმაციის ავტორი — გონებაარეული მასა უცხოელ კორესპონდენტებსაც არ ეპუება, ბევრ მათგანს პრაქტიკულად მოესპო ნორმალური მუშაობის საშუალება“.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ გაზეთი „ცისარტყელა“ (რედაქტორი ბერდია ბერიაშვილი, ნოემბერი, № 2) ამ ფაქტთან დაკავშირებით აქვეყნებს ხელმოუწერელ წერილს, სათაურით— „ვის ქომაგობ „ქომაგო?!“; წერილს თან ახლავს ფოტო, სადაც გამოსახულია ფოტორეპორტიორი გენადი სანაია მომღიმარი სახით ბეტეერზე გვარდიელის გვერდით, თავზე კასკით და ხელში თოფით. წერილის ავტორი აუწყებს მკითხველს, რომ გენადი სანაია მოვიდა ტელევიზიის წინ გამართულ მიტინგზე, რომ იგი იქ შეიპყრეს, ძალით აიყვანეს ბეტეერზე, დააჭერინეს ხელში თოფი და უბრძანეს ეძახა: „აი, ეს თოფი მე პრეზიდენტს უნდა ვესროლო“. ამასთან დაკავშირებით ჩვენს რედაქციაში მოვიდა ბატონი გენადი სანაიას წერილი:

„გაზეთ „ცისარტყელას მე-2 ნომერში ხელმოუწერლად გამოქვეყნდა ჩემი მაკომპრომეტირებელი, ხელმოუწერელი სტატია — „ვის ქომაგობ „ქომაგო?!“ ამ წერილს თან ახლავს ჩემი ფოტოსურათი, რომელიც დაუფიქრებლად გამოსტყუა ბერდია ბერიაშვილმა. მე მას მეორე დღესვე ვთხოვე დაებრუნებინა ეს ფოტო და არსად დაებეჭდა. ბერდია ბერიაშვილმა ამიხსნა, რომ ფოტო იმავე საღამოს მიტინგზე დაეკარგა.

ახლა კი, ავტორის ნებართვის გარეშე, მან არა მარტო ეს ფოტო, არამედ სიცრუე და სიყალბეც დაბეჭდა ჩემს ირგვლივ.

გაზეთ „ქომაგს“ მე მართალი ინფორმაცია მივაწოდე და მასში არაფერია მონაჭორი, მე მართლაც მქონდა რედაქციისგან დავალება მთავრობის სახლის წინ გადამეღო აქცია, რომლის დროსაც მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ამის დამამტკიცებელი რამდენიმე ფოტოც მაქვს. ეს გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ის ფოტო გაჩნდებოდა, რომელიც ბერდია ბერიაშვილმა ჭორებთან ერთად დაბეჭდა თავის გაზეთში.

ახლა რაც შეეხება ტელევიზიის წინ აღნიშნულ ფაქტს. არავის ჩემთვის იქ უხეშად არ მოუმართავს, არც ძალადობით მომპყრობიან. ეს სურათზეც ჩანს. თუ ბეტეერზე მყოფი ბიჭები არ მენდობოდნენ, ავტომატს ხომ არ მომაწვდიდნენ, თანაც მე არ მიყვირია რაიმე პრეზიდენტის საწინააღმდეგო და არც არავის შემოუთავაზებია ჩემთვის ასეთი რამ.

ჩემი აპარატით მე ჩემს ფირზე გადამიღეს და უკან გამომატანეს უვნებლად. არავინ „ერთობოდა“ ამ საქმით. ბიჭებმა მთხოვეს, სურათს თუ მოგვიტან სამახსოვროდ, კარგი იქნებაო. არავითარი ბოროტი განზრახვა არც მათ და არც მე არა გვქონია (ღმერთმა დამიფაროს). ახლა კი, შეურაცხყოფილი, ცილწამებული ვარ გაზეთ „ცისარტყელაში“. გაზეთმა მახარად აიგდო ჩემი საავტორო უფლებები. თუ დამჭირდა, ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად არაერთი მოწმე მყავს...“

ეს ყველაფერი სექტემბრის ცხელ დღეებში მოხდა. ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ეჭვი შევიტანოთ ბატონი გენადის სიტყვებში, იგი ნამდვილად შეურაცხყვეს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე. რა დაგვრჩენია, გარდა სინანულისა და თუ საქმეს უშველის, პრეზიდენტის მხარდამჭერი საზოგადოების სახელით ბოდიში მოვიხადოთ ფოტორეპორტიორის წინაშე, მაგრამ ამ მძიმე დღეებში, უკიდურესად გადაღლილი და დაძაბული ადამიანები ხშირად არ უწყიან, რას აკეთებენ. გაზეთმა „ცისარტყელამ“ კი დათვური სამსახური გაუწია მთავრობის სახლის წინ მომიტინგე საზოგადოებას, არავის სჭირდება ფაქტების გაყალბება მაშინ, როდესაც მთავრობის სახლის წინ, სულ ცოტა ხანში, ბევრად უფრო მძიმე მოვლენები მოხდა. 4 ოქტომბრის ღამიდან 5 ოქტომბრის დილამდე ტყვიის ზუზუნი მთელ თბილისს ესმოდა, დაიღვარა სისხლი და შეწყდა კიდევ ერთი სიცოცხლე — მოკლეს ახალგაზრდა კაცი. დიახ, ბატონო ბერდია, ნამდვილად არ გვესმის, რა საჭირო იყო ოპოზიციისთვის წაყენება ისეთი ბრალდებისა, რომელიც მას არ ჩაუდენია, განა ცოდვები მათ სინდისზე ცოტაა? უცხოელ კორესპონდენტებზე რომ სწუხან, „პრაქტიკულად მოესპოთ ნორმალური მუშაობის საშუალებაო“, რატომ თავის საკუთარ ხალხზე არ ფიქრობენ, რომ მოუსპეს არამც თუ „ნორმალური მუშაობის საშუალება“, არამედ მოუშალეს არსებობის მინიმალური პირობები.

ჩვენი ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, ჩვენ ვიბრძვით ძალიან დიდი, ნათელი მიზნისათვის, ამ ბრძოლაში კი პრესას უმძიმესი მოვალეობა აკისრია, მან უნდა აუწყოს მსოფლიოს, რომ საქართველოში ბარიკადების ერთ მხარეს თავისუფლების მოსურნე ქართველები დგანან, რომლებმაც თავისი ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლის მძიმე და საპატიო მისია სახალხოდ არჩეულ პრეზიდენტს დააკისრეს, ხოლო მეორე მხარეს კი, რუსეთის იმპერიაში დარჩენის მოსურნე „დემოკრატები“ დგანან, საქართველოს „ნაღები“, რომელთათვისაც მზეჩრდილოეთიდან ამოჰყავს ჩვენს ყოფილ თანამემამულეს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა გადემოკრატიულებულ მინისტრს. ჩვენი ბრძოლა წმინდა და მართალია. სიცრუე არ გვჭირდება. ნუ შევეცდებით უღირსი ხერხებით მიზნის მიღწევას. ეს მხოლოდ დაამცირებს ჩვენს სიმართლესა და მეოხედ ვერავის შეეწევა.

ბ. დ.

# გამოხმაურება

გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ 10.10.91 წ. გამოქვეყნდა წერილი „პროტესტს ვაცხადებთ“, რომელსაც ხელს აწერენ პრეზიდენტისა და პარლამენტის მხარდამჭერი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სრულიად ვიზიარებთ წერილის ტექსტს და ვუერთდებით, რადგან არ გვსურს მოვიხსენიებოდეთ ინტელიგენციის იმ მცირე ჯგუფის გვერდით, რომელნიც განუდგნენ ეროვნულ ხელისუფლებას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. **თ. ნემსაძე** — ექიმი-გენეტიკოსი, **თ. ხოფერია** — ექიმი-გენეტიკოსი, **ნ. გომართელი** — სურდო-ლოგოპედი, **თ. ნამორაძე** — ლოგოპედი, **ვ. ბაზაძე-ნატროშვილი** — რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, **ვ. მესხი**—ეკონომისტი, **ვლ. ფანიაშვილი** — ინჟინერი, **უ. სავიცკაია** — ინჟინერი, **მ. ფანიაშვილი** — ექიმი-პედიატრი, **ქ. ფანიაშვილი**—ინჟინერი. **ირაკლი ოჩიაური** — სახალხო მხატვარი, **ირინე კასრაძე** — უფრ. რედაქტორი, **ნანული მიქავა** — მთარგმნელი, **თინა ხილაგაძე** — ინჟინერი, **ნელი ჩხეიძე** — ინჟინერ-ეკონომისტი, **მედეა შველიძე** — ექიმი, **ალეკო ბოგვერაძე** — ინჟინერი, **ლუტეცია ჭოლოშვილი** — ფილოლოგი, **ვლადიმერ ლეკვეიშვილი** — ფიზიკოსი, **გულნარა იაშვილი** — ინჟინერი, **ნანა გოქსაძე** — ინჟინერი, **მანანა ახალკაცი** — ინჟინერი, **თინათინ მჟავანაძე** — პედაგოგი, **ენდი წერეთელი**— ჟურნალისტი, **დინა ლამბაშიძე** — ფილოლოგი, **გულნარა კახიძე** — ბიბლიოთეკათმცოდნე, **ნუგზარ ბოკუჩავა**—ინჟინერი, **მერი გოგილაშვილი**— ქალაქის საავტიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე. ტექნიკური უნივერსიტეტიდან: **იუზა ხხირტლაძე**—მეცნიერ-თანამშრომელი, **ვ. ზურაბიშვილი** — დოცენტი, **გ. ხარაბაძე**, —უფრ. მასწავლებელი, **გ. ძაგნიძე** — ასისტენტი, **მ. ხომასურიძე** — —ლაბორანტი, **ქ. ღიხამინჯია**, — ლაბორატორიის გამგე, **მ. აბაზაძე** — ინჟინერ-პროგრამისტი, **თ. მაზიაშვილი** —ლაბორატორიის გამგე, **ლ. ღოღობერიძე** — დოცენტი, **თ. გოზალიშვილი** — უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიძულვილით მხოლოდ ნგრევა შეიძლება..."

„გაზეთები ყოველთვის სიმართლეს რომ წერდნენ, ამ წერილს მე უკვე საპატიმროში უნდა ვწერდე, მაგრამ არ წერენ გაზეთები ყოველთვის სიმართლეს.

კიდევ კარგი."

ასეთი პათეტიკურ-დრამატული წანამძღვარი გაუკეთა ბატონმა კობა იმედაშვილმა თავის მიმართვას გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციისა და ტელერადიოდეპარტამენტისადმი (ლიტ. საქ. 1991 წ. 8.XI.). ამ მიმართვას მინაწერიცა აქვს, სადაც ავტორი მოითხოვს „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციისაგან და ტელერადიოდეპარტამენტისაგან ბოდიში მოუხადონ, თუ არა... თქვენთან თანამშრომლობაზე უარს ვაცხადებო.

არ ვიცი, რამდენად დაზარალდებიან რედაქცია და ტელედეპარტამენტი კობა იმედაშვილმა რომ მათზე ხელი აიღოს, მაგრამ მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბატონ კობას ან მართლა ეშინია, რომ დააპატიმრებენ, ან უნდა, რომ შეშინებულად წარმოგვიდგინოს თავი. ასეა თუ ისე, შეძლებისდაგვარად ტკბილად მინდა გავესაუბრო გულანთებულ პატრიოტს.

დავიწყებთ მისი დამსახურებით მშობელი ქვეყნის წინაშე. ამისათვის დიდი გარჯა არ მოგვიწევს, რადგან თვითონვე აქვს მოღვაწეს ჩამოთვლილი საკუთარი დამსახურებანი, რომლებსაც ჩვენს მოკრძალებულ კომენტარებს დავურთავთ.

მაგალითად, ბატონ კობას ტყუილად დააბრალეს, რომ გაწირა თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭები, მისთვის არავის უკითხავს განაჩენის გამოტანა, განა რა ისეთი თანამდებობა ჰქონდა, რომ მის სიტყვას რაიმე ფასი ჰქონოდა (სამაგიეროდ ახლა აქვს ისეთი თანამდებობა, რომელიც უფლებას აძლევს „პოლიტიკური" და „სინდისის" პატიმრები იხსნას, პრეზიდენტი, რომელიც მასმა ერმა აირჩია, გადააყენოს, იარაღი აისხას და სხვა. ეს ყველაფერი ტყუილიაო, იტყვის პატივცემული ავტორი, გაზეთები სიმართლეს არ წერენო... კეთილი ბატონო კობა, მაგრამ სად, რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ ბრალდების მართებულობის განსჯა თვით ბრალდებულისთვის მიენდოთ?

ბატონ კობას, მთავრობის სახლთან ავტომატების კაკანში, ყური მოუკრავს, როგორ მოუწოდეს, მიჯრით ესროლეთ, გამიზნულადო. პატივცემულმა მწერალმა ისიც იცის, რომ ეს მოწოდება მთავრობის სახლიდან მოდიოდა. მივუბრუნდეთ მწერლის დამსახურებებს. მას ერთხელ უთქვამს, როგორც თვითონ ამბობს, ერთი „გამჭოლი ფრაზა": „ხალხს ერთმანეთთან არაფერი არა აქვს გასაყოფი, ნუ გავხდებით სათამაშონი პოლიტიკოსთა ხელში, ნუ ვიზამთ ნურაფერს ისეთს, რომ შვილებისა, ერთმანეთის შეგვრცხვეს"-ო. ჭეშმარიტად, ბრძენის ნათქვამია, ოღონდ საინტერესოა, თვითონ ამ სიბრძნის ავტორი, პოლიტიკოსია, თუ პოლიტიკოსის სათამაშო? ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და მეც გაგიმხელთ, ბატონი კრიტიკოსი, ჩვენი „სახელოვანი" თანამემამულის, რუსეთს გადახვეწილი მოღვაწის მიერ ათამაშებულ თოჯინას მივამგვანე, ამ „ღვაწლმოსილ ქართველს" სამშობლო აქვს გასაყოფი და დასაყოფი და არც საკუთარი შვილების შერცხვება, არც მის გატანჯულ ყოფილ თანამემამულეებთან შეხვედრისას დაიწვება სირცხვილით.

ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს, ბატონი კობა თურმე ოჯახთან, ავთანდილ იმნაძესა და დათო ტურაშვილთან ერთად მატანში ყოფილა „ქაქუცობაზე", მას კი ცილი დასწამეს, ქაქუცას ყაჩაღად აცხადებდაო, უფრო შორსაც წავიდნენ, მეცნიერს, რომელმაც კომპარტიის მე-11 პლენუმს 1978 წელს წერილი მისწერა, სადაც ქართული ენის სტატუსს იცავდა, გაურკვეველი მრწამსის კაცი უწოდეს. კობა იმედაშვილი ის მწერალია, რომელიც კომუნისტების ნიურნბერგზე ოცნებობდა და რომელსაც 1989-90 წლებში, თითქმის ყოველ კვირა, რადიოში მიჰყავდა პოლიტიკური დიალოგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან და ა. შ. აი, ბატონებო, ეს და კიდევ, ალბათ, სხვა მრავალი, რომელიც ა. შ.-ში იგულისხმება, არის კობა იმედაშვილის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე.

დასაწყისშიც აღვნიშნე, რომ ბატონი კობა შეშინებული ჩანს-მეთქი, მთელ მის წერილს გასდევს შიში, ვაი, თუ დამიჭირონო და ამიტომ ჩვენთვის მეტად ნაცნობსა და თითქოს „მშობლიურ" დემაგოგიას ისე ეწაფება, როგორც მოწყურებული წყალს.

„სხვათაშორის, ოცდაჩვიდმეტში ასე ხდებოდა. ცილისმწამებლური სამხილები ქვეყნდებოდა, ხოლო ხელისუფლება მათ მაშინ „მიაქცევდა ყურადღებას", როდესაც საჭიროდ ჩასთვლიდა". მიხეილ ჯავახიშვილი, თურმე, 1932 წელს დაუბეზღებიათ, ხოლო 1937 წელს დაიჭირეს. 5 წელი ბოლშევიკებს ბოღმა გულში უტარებიათ, მეხუთე წელს კი დაუჭერიათ...

აი, ბატონებო, რას არ გაიგონებს ადამიანის ყური, რაღა არ იწერება ამ „სისხლიანი დიქტატურის" დროს. ბატონო კობა! გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა, დაეკითხეთ თქვენზე უფროსებს, რა ხდებოდა, როცა ნამდვილი დიქტატურა მძვინვარებდა, არც ისე ახალგაზრდა ბრძანდებით, რომ არ გახსოვდეთ, როგორ ჩუმად ვყვებოდით ანეკდოტებს, როგორ გულში ვიკლავდით პროტესტის გრძნობას, როგორ ვხუჭავდით თვალს უსამართლობაზე, დაბოლოს, როგორი ტაშისკვრით ვეგებებოდით სოციალიზმის „გამარჯვებებს".

რამდენ პატივსაცემ პიროვნებას ვიცნობ, რომელსაც საკუთარი ღირსებაც კი ვერასოდეს დაუცავს, რადგან ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, ახლა კი, ხმამაღლა გაჰკივის, დემოკრატია არ არისო. ერთმა სახელოვანმა მეცნიერმა, რომელსაც ავადსახსენებელ 37-ში ცოლი, ცოლისდა და უამრავი მეგობარი და ნათესავი გადაუსახლეს, დაუხვრიტეს, ჩქამიც ვერ გაიღო მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა და ძალ-ღონით სავსე იყო, დღეს კი ბრალდებას უყენებს ხელისუფლებას, რეზო ჩხეიძეს და მის ქალიშვილს რატომ ავიწროვებთო და ამას წერს გაზეთში მაშინ, როდესაც თქვენ ყველანი „ამტკიცებთ", პრესის თავისუფლება არ არსებობსო.

გაუმართლებელია თქვენი საქციელის გასამართლებლად 37-ის ავადსახსენებელი დროების უკან ამოფარება. ისე, ბატონო კობა, თუ გეშინოდათ „დაბეზღების" — ანუ გამოაშკარავების, რატომ მოაწერეთ ხელი მწერალთა იმ განცხადებას, ის განცხადება რა, საიდუმლო უნდა ყოფილიყო? თუ იმის შიში გაქვთ, რომ იარაღის ტარების გამო პასუხს აგებთ, რატომ აისხით იარაღი, ან რატომ დაუდექით გვერდით მოჯანყე გვარდიის ნაწილებს? განა არ იცოდით, რომ იარაღით ხელში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის კვალიფიკაცია ენიჭება და ყველა ქვეყანაში, კანონის თანახმად, უმკაცრესად ისჯება. დიახ, ბატონო კობა, თქვენ და კიდევ ბევრი სხვაც, ვისაც დაუმტკიცდება პუტჩში მონაწილეობა, კანონით უნდა დაისაჯოს, მნიშვნელობა არა აქვს მწერალი იქნება იგი, მსახიობი, რეჟისორი თუ მეცნიერი. იცოდეთ, ბატონო, არც ერთ სამართლებრივ ქვეყანაში პასუხისმგებლობისგან არ გაგანთავისუფლებდნენ არც 37-ის ანალოგიები, არც „ძირს დიქტატურის" ძახილი და არც „მშვიდობიანი" მიტინგები ამაზრზენი მოწოდებებით, როგორიცაა „თავისუფლება სინდისის პატიმრებს", „პოლიტპატიმრებს" და რა ვიცი, კიდევ რას არ მოიგონებთ, თქვენი ფანტაზია ხომ ულევია.

თქვენი წერილის უდიდესი ნაწილი დათმობილი აქვს იმის აღწერას, რომ ავარიაში მოხვდით, მიიღეთ ტვინის შერყევა, რომ ძალიან გტკიოდათ თავი და ამიტომ არ შეგეძლოთ ბარიკადებზე ყოფილიყავით იარაღით თუ უიარაღოდ. ისე, გარჯას ვერ დაგიკარგავთ, ბატონ გურამ ფანჯიკიძის ხელით ბარათი გიახლებიათ მუხრან მაჭავარიანისა და მწერალთა კავშირისათვის, სადაც დაგიგმიათ 2 სექტემბრის ძალადობა, თუმცა, მოძალადენი თქვენთვის და თქვენი თანამზრახველებისათვის, 1 სექტემბერსაც კი ცნობილნი იყვნენ და რა გასაკვირია, 12 სექტემბერს, მიუხედავად თქვენი ტვინის შერყევისა, იგი დაგეგმოთ. (ისე, ბატონო კობა, ტვინის შერყევიანი ავადმყოფისათვის, შესაშურად აქტიური ბრძანებულხართ).

„სიძულვილით მხოლოდ ნგრევა შეიძლება, აშენებას სიყვარული სჭირდება" — ბრძანებთ თქვენ, ჭეშმარიტად, სიყვარული დიდი ძალაა, მაგრამ მაინტერესებს, თქვენ და თქვენს გვერდით მდგომმა დემოკრატებმა ტელევიზია სიყვარულით დალეწეთ? ზოოპარკის ხოხბები სიყვარულით დახოცეთ? ცირკზე ამხედრებული ზარბაზანიც სიყვარულით აქუხეთ შუაღამისას? თელასზე თავდასხმაც სიყვარულის ნაყოფია? დაბოლოს, მთავრობის სახლზე იერიში დიდზე დიდი სიყვარულის შედეგია, არა?

თქვენ წერთ, რომ ოთხი ახალგაზრდა თქვენ არ გაგიმეტებიათ სასიკვდილოდ, ქაქუცა თქვენ არ გამოგიცხადებიათ ყაჩაღად, ვიცი, ბატონო კობა, მაგრამ თქვენ იმათ გვერდით იდექით, არ გაემიჯნეთ მათ, ვინც ეს გააკეთა და ამიტომ ერთ ხორც და ერთ სულ შეკრულად მყავხართ აღქმული. გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" 1991 წლის 2 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი: „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა", ჰოდა, ამ წერილის თავზე მოთავსებულია განცხადებათა ფოტოპირები, ამ განმცხადებელთა გვარები ტუშითაა დაფარული. რედაქციის თანამშრომლებმა საკუთარი თვალით ვნახეთ ეს განცხადებები და მათი ავტორებიც ჩვენთვის ცნობილია. გავახსენებთ ერთ-ერთ მათგანს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს, ამხ. ვ. მ. სირაძეს

მოგახსენებთ, რომ ამასწინანდელ შეწყნარების თხოვნაზე ჩემი ხელმოწერა არამც და არამც არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ჩემი მხრიდან სათანადოდ შეუფასებლობა მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტისა. ეს გახლდათ მხოლოდ გადაჭარბებული გულჩვილობა (ამ შემთხვევაში ალბათ გაუმართლებელი), ჩემი ე. წ. ადამიანური „სისუსტე".

გთხოვთ ეს ფაქტი განიხილოთ მხოლოდ ასე და არ მისცეთ არავითარი სხვა კვალიფიკაცია".

დიახ! ბატონო კობა, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანური სისუსტეა, მოითხოვო არ დასაჯონ უდანაშაულო ადამიანები და მერე ეს „სისუსტე" ასეთი გულგრილობით და სისასტიკით დაგმო. ამ განცხადების ავტორი თქვენი თანამოაზრეა, ტელევიზიასთან თქვენს გვერდით მდგარი. ჩვენ არც ახლა ვასახელებთ მის გვარს, რადგან იგი სახელოვანი მამის შვილია და ქედს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე. აი, რატომ გითხარით, ერთ სულ და ერთ ხორც ხართ-მეთქი შეკრული, მე თქვენ ყველას ერთ არსებად აღგიქვამთ, ეს თქვენ ხართ, ერთად შეკრულნი წინ რომ ეღობებით ჩვენს თავისუფლებას, თქვენი ბრალია, ოსები რომ გააქტიურდნენ და ხოცავენ ქართველებს სამაჩაბლოში, თქვენი ბრალია, რომ კატასტროფულად იზრდება დანაშაულობანი, თქვენი ბრალია, რომ ფერხდება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, თქვენი ბრალია, დეზინფორმაცია რომ იბეჭდება მსოფლიოს პრესაში საქართველოს შესახებ.

თქვენ გზარავთ ის, რომ ქართველი ხალხი შეკრულია ისე, როგორც არასდროს, თუმცა, პირიქით კი არწმუნებთ ქვეყანას, თქვენ ვერ აგიტანიათ, რომ თქვენი ერი პრეზიდენტის სიყვარულმა „დააბრმავა" და რომ ვერ ახერხებთ ამ სიყვარულისაგან „იხსნათ" იგი.

და კიდევ, ბატონო კობა, ღმერთმა არ ქნას და ეს არც მოხდება, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინოთ, რომ საქართველოს ჩარხი ბედუკუღმა შემოტრიალდა და თქვენ გაიმარჯვეთ, აი, მაშინ, ნამდვილი დიქტატურა რომ დადგება, მე არ შემეშინდება თქვენი და თითებზე თვლას არ დავიწყებ, რომელ წელს „დამასმინეს" და რომელ წელს ჩამსვამენ ციხეში, არ დავიწყებ ანალოგიების ძიებას, თქვენს მსგავსად, წარსულში და წინასწარ იმის მტკიცებას, რომ არიქა, განმეორდება 37 წელი, თუმცა, ღმერთმა მაგ დღეს ნურავინ მოგვასწროს. თქვენს საქართველოში ჩქამს ვერავინ გაიღებს, თქვენი დემოკრატობა უკვე ვიწვნიეთ, ღმერთმა გვაკმაროს.

**ნანა დოლიძე**

# არ უნდა გაუკვირდეს

ამა წლის 8 ნოემბრის „ლიტერატურულ საქართველოში" ბატონი კობა იმედაშვილი ამტკიცებს, რომ იგი ავტომატგადაკიდებული არ დააბიჯებდა ტელევიზიასთან. საფუძველი არა გვაქვს არ დავუჯეროთ, რადგან ის არ უარყოფს სხვა ფაქტებს. კერძოდ იმას, რომ 21-22 სექტემბერს, 4-5 ოქტომბერს და მათ შუალედშიც ყოფილა იქ და იმათთან, ვისთვისაც, მისი აზრით, უნდა ესროლათ.

როდესაც ბატონი კობა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის, ტვინშერყეული, მანქანით მიიყვანეს ტელევიზიასთან, ამას იმიტომ კი არ გვეუბნება, რომ მანქანით სიარული გაჭკვირვებია, არამედ იმიტომ, რომ იცის, საჭირო კაცი რომ იყო იქ. სხვა შემთხვევაში ამის აღნიშვნა არ ღირდა, რადგან „ოპოზიციურ" მიტინგებზე უმანქანოდ არც არავინ მიდიოდა.

ბატონი კობა იმას გვიმტკიცებს, მე არ ვიყავი ავტომატგადაკიდებულიო, თორემ ის არც ერთხელ არ დასცდენია, სხვაც არ მინახავს ავტომატიანიო. სწორედ ამიტომ მჯერა მისი.

რაკი „ოპოზიცია" ავტომატებით, ბეტეერებით და ქვემეხებით იყო შეიარაღებული და რაკი მის აქციებს სისხლისღვრა მოჰყვა, რომელსაც ხელისუფლების დამცველთა მხარეს მყოფი რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა, და რაკი ბატონი კობას კრედო ყოფილა — „ვიქნები მასთან, ვისაც ესვრიან", მაშინ ერთი-ორჯერ მთავრობის სახლთანაც უნდა გამოჩენილიყო.

გამოჩენით კი გამოჩნდა 4-5 ოქტომბერს, მაგრამ ისევ „ოპოზიციის" მხარეს და არა აქვს მნიშვნელობა იარაღით თუ უიარაღოდ (აქციას კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა, ისევ მთავრობის დამცველთა მხრიდან, დაჭრილებიც მხოლოდ მათ შორის იყვნენ).

ფაქტი ისაა, რომ სექტემბეროქტომბერში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს, რასაც ქართულად აჯანყება ჰქვია. მართალია, აჯანყება დიდხანს არ გაგრძელდა და მასშტაბიც დიდი არა ჰქონდა, მაგრამ „მოკლეხნიანი მცირე აჯანყება", ბატონი კობას სახელგანთქმული პაპის იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" მიხედვით, მაინც პუტჩია...

პუტჩის მონაწილეს კი, იარაღიანსაც და უიარაღოსაც, არ უნდა გაუკვირდეს თუ უნდობლობას გამოუცხადებენ.

**ნ. მჭედლიშვილი**

## საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს ბატონ ვახტანგ გვარამიას

ასლი: გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" რედაქციას

1991 წლის 10 მაისს ვენდელიანისა და ცოტნე დადიანის ქუჩების გზაჯვარედინზე (№ 1 სამშობიარო სახლის მახლობლად) მოხდა ორი სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახება, რის შედეგადაც დაიღუპა ჩემი მეუღლე ოლეგ აკაკის ძე ჯაჯანიძე — ორი მცირეწლოვანი შვილის მამა.

სატრანსპორტო საშუალებებს მართავდნენ ქარხანა „ელექტროგამშვების" პროფკომიტეტის თავმჯდომარე გელა საური და გია კირვალიძე. ამ უკანასკნელის მანქანით ჩემი მეუღლე 23 საათსა და 30 წუთზე ბრუნდებოდა ქარხნიდან სახლში.

შემთხვევის შემდეგ გელა საურმა (რომელიც ამჟამად უარყოფს, რომ აღნიშნული ავარიის დროს საკუთარ ავტომანქანას თვითონ მართავდა, არამედ ვინმე მალხაზ გურამის ძე ასანიძე) მიატოვა დაზარალებული ოლეგ ჯაჯანიძე (რომელიც შემდგომ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა) და მიიმალა, რადგან იყო არაფხიზელ მდგომარეობაში.

წინასწარ გამოძიებას აწარმოებს მილიციის გამომძიებელი მახარაძე, რომელიც, სამწუხაროდ, არაობიექტურად ეკიდება სიმართლის დადგენას და ტენდენციურად ცდილობს გამოძიების წარმართვას. ჩემგან აღნიშნული გამომძიებლის ობიექტურობაში მაეჭვებს ის, რომ გამომძიებელი მახარაძე დემონსტრაციულად ცდილობს დანაშაულის მთელი სიმძიმე დააკისროს გია კირვალიძეს. ამასთან აღვნიშნავ იმასაც, რომ ავტოკატასტროფის შემდეგ გელა საურმა გააკეთა ცნობა, თითქოს 10 მაისს ფხიზელი იყო, გამომძიებელი მახარაძე კი იმის მაგიერ, რომ აღნიშნული ცნობის „ჭეშმარიტებაში" დაეჭვებულიყო, ცინიკურად აცხადებს, რომ საურს სურვილისამებრ ყირაზე შეეძლო დადგომა „თავის ზოლშიო".

ერთ დღეს მისული ვიყავი „ელექტროგამშვების" ქარხნის დირექტორის მისაღებში (1991 წლის 13 ივნისი) ჩემს თანაკურსელ ციური ნოდარიშვილთან და ჩემი 11 წლის გოგონასთან ერთად. მისაღებში იყო აგრეთვე დირექტორის მდივანი ახალგაზრდა ქალი. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მისაღებში შემოვიდა საშუალოზე დაბალი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ტელეფონით დარეკა და მისი საუბარი მოვისმინე ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად: „მანქანას ვარემონტებ. შუშები მინდა დავაბურინო. ჯერ რესტორნისათვის არა მცალია, გავაკეთებინებ მანქანას და შემდეგ ვიაროთ რესტორანში... ბიჭო, რაღა მახსოვს ავარიის, გალეწილი მთვრალი ვიყავი".

ტელეფონზე მოსაუბრე უცნობ პიროვნებას ჩემი მეგობარი ც. ნოდარიშვილი შეეკითხა, თუ რა მარკის მანქანა ჰყავდა, უცნობმა უპასუხა, რომ მას ჰყავს ავტომანქანა 2109 მარკის ჟიგული. ყოველივე ამის შემდეგ, როდესაც იგი (უცნობი) მისაღებიდან გავიდა, მე ვკითხე თუ ვინ იყო ის პიროვნება, მდივანმა მიპასუხა, რომ ის პიროვნება მათი პროფკავშირის თავმჯდომარე გელა საური იყო.

ამის შემდეგ მე ავუხსენი მდივან ქალს ყველაფერი და ვუთხარი, რომ საურმა მეუღლე მომიკლა, და ის კი ისევ რესტორანზე და მანქანის გარემონტებაზე ფიქრობდა, ხოლო გამომძიებელ მახარაძეს ცნობაც კი არა ჰქონდა მოწვდილი ქარხანა „ელექტროგამშვების" დირექციისათვის. მდივანმა ქალმა მომიგო, რომ ეგ უბედური იმიტომ დადის და ტელეფონზე საუბრობს, რომ ალბათ ცოდვა ალაპარაკებსო".

ბატონო ვახტანგ, თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ მსგავსი დეტალების გახსენებით, მინდა გკითხოთ, რამდენად კანონიერი იყო გამომძიებელ მახარაძის მხრიდან საქმის განხილვისა და განაჩენის კანონიერ ვადაში შესვლამდე საურისათვის დაზიანებული მანქანის შეკეთების უფლება მიეცათ, მაშინ როცა ექსპერტიზის დასკვნა სადავოა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ნაძალადევის რაიონის პროკურორის გულგრილობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

**დაზარალებული მზია ლევანის ასული ქიმაძე, მცხოვრები ქ. თბილისის თემქის დასახლ. III მ/რ, V კვარტალი, 23-ე კორპუსი, ბინა 78.**

**რედაქციისაგან:**

მოქალაქე მზია ლევანის ასულ ქიმაძის წერილი „ტიპიური" ნიმუშია იმ გულგრილობისა, რასაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ვაწყდებით. დასანანია, რომ ისევ გვიხდება ელემენტარული ნორმების შეხსენება, მათთვის, ვისაც ამ ნორმების დაცვა ევალებათ.

ნებისმიერი არართული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ვადა არის ორი თვე(!). ეს იმას ნიშნავს, რომ გამომძიებელმა ამხნის განმავლობაში უნდა შეასრულოს ყველა

(დასასრული მე-7 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიიდან

# ილია ჭავჭავაძე

## (ნაწყვეტები)

**ილიამ** ერთი მეტად საყურადღებო საკითხი გაარკვია და დაასაბუთა. თავის დროზე დიდი აურზაური გამოიწვია ამ საკითხმა ქართულ პრესაში. ამუშავდნენ ჩვენი სექტანტები მის წინააღმდეგ ნასესხები გადმოწერილი ციტატებით. რა საკითხი იყო ეს, ასეთი საჭირბოროტო? რა თქვა მან, ან რატომ აუმხედრდნენ ასე უცნაურად?

ეროვნული სხეულის სიმკვიდრისათვის, მისი ძლიერების და ღონის წარმატებისათვის მან აღიარა ორი რამ: გუთანი და ხმალი. გუთანი, როგორც ადგილზე გამაგრებისა და დამაგრების იარაღი, ხმალი, როგორც თავდაცვის საშუალება:

„ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხმოკიდებულები ვართ, სხვებსავით, არ დავიქსაქსენით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელ მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით; ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე სიმკვიდრისა ხელთ გვექნება".

რამდენად მართალი იყო ილია საკითხის ამგვარად დაყენებაში? რატომ დასახა მან ერის სიმკვიდრის უძლეველ ძალ-ღონედ ეს ორი საშუალება? იმიტომ რომ ერთიცა და მეორეც არსებითი, ძირითადი და უპირველესი ელემენტებია ეროვნული სხეულის არსებობისათვის. გუთანი ამ შემთხვევაში არ უნდა იქმნას გაგებული, როგორც სოფლის მეურნეობის უბრალო იარაღად, არამედ როგორც სიმბოლო გარკვეულ ტერიტორიაზე, ეროვნული სახალხო მეურნეობის ფუძემდებლად, ამდენად ამ ტერიტორიის შემნარჩუნებლად. როცა ერს დამოუკიდებლობა წართმეული აქვს და სხვისი ბატონობის ქვეშ არის მოქცეული, მამაპაპათაგან მოხაზული ტერიტორიის საზღვრების შენარჩუნება ყოფნა, არ ყოფნის საკითხთან არის დაკავშირებული. თუ გავიხსენებთ დაპყრობილ ერების ისტორიას, დავინახავთ რანაირ ძნელ პირობებში ჩავარდნენ ერები განმანთავისუფლებელ ბრძოლის გადამწყვეტ წუთებში, როცა საკმარისი სიფხიზლე დროზე ვერ გამოუჩენიათ, და მათ მამა-პაპეულ მიწა-წყალს გაბატონებული ერის მოქალაქენი დაპატრონებიან.

ჩვენში მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში უცხო ელემენტის შემოჭრამ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ჩვენ იმდენად სუსტნი აღმოვჩნდით, რომ თვით დედაქალაქი თბილისი უცხოელებმა დაისაკუთრეს...

მაშინ ქართული მემარცხენე სექტორი რუსული თუ ევროპიული ყაიდისა, სექტანტობით დაბრმავებული, ვერ ამჩნევდა ამ საფრთხეს, და დასწამეს ილიას, რომ იგი თავადაზნაურობის იდეოლოგია, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება არა სწამს, პროლეტარიატის გამრავლებას ხელს უშლის და სხვა.

კაპიტალიზმის განვითარებამ მე-19 საუკუნეში, ათას დადებით მოვლენებთან ერთად, შექმნა ეროვნული მთლიანობის დამშლელი განწყობილება. ანარქისტული და კოსმოპოლიტური აზროვნების სისტემები, ფსიქოზი პატარა ერების დაღუპვისა და გაქრობის შესახებ.

და აი, 14-18 წ. ომის შემდეგ, როცა კაპიტალისტური სისტემის გარდაქმნის საკითხი დღის წესრიგში დადგა, ჩვენ ვხედავთ საკვირველ შემობრუნებას. ხდება მთელი მეცხრამეტე საუკუნის სოციალ-პოლიტიკური აზროვნებისა და ამ აზროვნებასთან დაკავშირებული ღირებულებების არსებითი და ძირითადი გადაფასება. იწყება ხანა რეფორმების, რევოლუციების.

ნახევარი საუკუნე იმოღვაწა ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ, მაგრამ ეროვნული ნიადაგის გაწმენდა, ქართული აზროვნების დამკვიდრება ისე მაინც ვერ მოხერხდა, რომ ახალი ქარტეხილები მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებს რომ მოჰყვა, მის უკუმქცევ ჯებირად გამომდგარიყო.

ამისი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მესამოციანების მომდევნო თაობამ, იმის მაგივრად ილიას თაობის მემკვიდრეობის ნიადაგზე დამდგარიყო, ამ წამოწყებათა გამაგრებისა და გაზრდისათვის ეზრუნა, უცხო თეორიებისა და დოქტრინების მარულა გამართა ჩვენს ეროვნულ მოქალაქეობრივ ცხოვრების ასპარეზზე.

ჩვენში ერთი საზოგადოებრივი ურთიერთობა ფეხს რომ იდგამდა, მაშინვე მის აუცილებლობაზე დავიწყეთ სჯა-ბაასი; ევროპიდან და რუსეთიდან ნასესხები, მოზიდული აზრებით. ჩვენი სოციალური ინტერესების უსწორ-მასწორობას ჩავაცივდით და მთავარი, ეროვნული ნიადაგი დაგვავიწყდა, სადაც ყველა ინტერესები თავს იყრის. ჩვენ მსოფლიო გაბედნიერების იდეებმა გაგვიტაცა და საკუთარ ბედნიერებაზე ცოტა ვიფიქრეთ. ჩვენ კოსმოპოლიტიზმის წყალმანკმა გაგვბერა და საკუთარ თავზე ფიქრს გადაგვაჩვია. როცა გარემოებამ შემთხვევა მოგვცა ჩვენი თავისათვის ჩვენ თვითონ უნდა მოგვევლო, აქ სუსტი და უღონო აღმოვჩნდით. ეს იმიტომ, რომ ეროვნული აღორძინების და კულტურული განვითარების საფუძვლებს საჭირო ყურადღებით ვერ მოვეპყარით, საკუთარი ოფლით ვერ მოვრწყეთ ის ნერგი, მესამოციანებმა, ილიას მეთაურობით რომ დარგო ქართულ გავერანებულ ყამირზე. საკუთარი თავი და ჩვენი ცხოვრების არსებითი საკითხები მეორე ხარისხოვან და სასხვათაშორისო საქმედ ვაღიარეთ, საგარეო ამბებმა და მსოფლიო ბედნიერების ზრახვებმა აგვაფორიაქა, თითქო ჩვენს მადლიან ქვეყანაში ყველაფერი რიგზე ყოფილიყო.

**ისიდორე მანწკავა**
ბერლინი. 1944 წ.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 42, 43„ 44.

---

## საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს ბატონ ვახტანგ გვარამიას

### ასლი: გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" რედაქციას

### (დასასრული)

საგამომძიებლო მოქმედება. დაადგინოს დამნაშავე და საქმე წარმართოს სასამართლოში განსახილველად. ხოლო თუ ადგილი აქვს ცდომილებას ანუ გამორიცხულია ვისიმე ბრალი, გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. როგორც განცხადებიდან ირკვევა, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 1991 წლის 10 მაისს. ამდენად 1991 წლის 10 ივლისისათვის გამოძიებას უნდა მიეღო ზემოთმოყვანილი გადაწყვეტილებანიდან ერთ-ერთი. სინამდვილეში კი რა გვაქვს? დაიღუპა ორი მცირეწლოვანი შვილის მამა, გარდაცვლილის მეუღლისათვის კი დღესაც უცნობია, თუ ვინაა დამნაშავე მისი ქმრის ტრაგიკულად დაღუპვაში. საინტერესოა, აგრეთვე იმის გაგებაც, რომ როდესაც დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, დაყენებული იქნა თუ არა მიმალული პიროვნების ავტომანქანა შესაბამის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, თუ პატრონს დაუბრუნეს შესაკეთებლად? - თუ დაუბრუნეს შესაკეთებლად, მაშინ რატომ არ გაითვალისწინეს, რომ შესაძლოა სასამართლოს საჭიროდ ჩაეთვალა აღნიშნული მანქანის ხელახალი ექსპერტიზა.

უნებლიეთ გვებადება კითხვა, ვისგან და რისგანაა გამოწვეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ასეთი უხეში დარღვევა. რაშია საქმე, გამომძიებელია არაკომპეტენტური თუ შეგნებულად არღვევს კანონს. საინტერესოა, რას ფიქრობს რაიონის პროკურორი, რომელსაც უშუალოდ ევალება ზედამხედველობა სისხლის სამართლის საქმის დროულ და ობიექტურ გამოძიებაზე, ანდა ზემოთ აღნიშნული გაჭიანურებული გამოძიების მიზეზები ცნობილია თუ არა ქ. თბილისის პროკურატურისათვის? თუ ცნობილია, რა მეთოდურ დახმარებას უწევენ გაჭიანურებული საქმის გამოძიება-გახსნაში?

---

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## სოციალური სტრატიფიკაცია

**სოციალური სტრატიფიკაცია** ერთ-ერთი გავრცელებული ტერმინია დასავლურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკაში. ეს ხშირ შემთხვევაში ანალოგიური სიტყვაა ჩვენთან მიღებული კლასისა, ფენისა, ჯგუფისა. თუ საბჭოური საზოგადოებათმცოდნეობა ამბობდა, რომ საზოგადოება შედგება სხვადასხვა კლასებისგანო (მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია) მაგ. ამერიკული სოციოლოგია ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის კლასობრივი, იგი შედგება სხვადასხვა სოციალური ფენებისგან ანუ სტრატებისგანო. ინგლისურ ენაზე სიტყვა „კლასი" სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიტყვის მარქსისტული გაგებით იხმარება, ხოლო საზოგადოების ფენებად დაყოფას, როგორც აღვნიშნეთ, სტრატიფიკაციას ეძახიან. ფენას კი — სტრატას. ე. ი. კლასობრივი დაყოფის ცნებას ცვლის სტრატიფიკაცია, ხოლო კლასის ცნებას — სტრატა.

ტერმინი „სტრატიფიკაცია" (ლათ. stratum—ფენა და fecio — ვაკეთებ) სოციალურმა მეცნიერებამ გეოლოგიისგან ისესხა და 1940 წლის შემდეგ გამოჩნდა დასავლურ სოციოლოგიაში. ამ მეცნიერების გარდა ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება პოლიტიკის, იდეოლოგიის, მორალის და სხვ. სფეროებში.

სოციალური სტრატიფიკაცია არის საზოგადოების დაყოფა ფენებად (კლასებად, სტრატებად, ჯგუფებად) რაიმე ნიშნის (ნიშნების) მიხედვით; მოსახლეობის დაყოფა ქვეჯგუფებად; ჯგუფების იერარქიის არსებობა საზოგადოებაში; საზოგადოებაში არსებული განსხვავებული სტატუსები; რაიმე სოციალური სისტემის მაკროსტრუქტურის ვერტიკალური სოციალური დიფერენციაცია; მოსახლეობის ჯგუფების დაყოფა რაიმე ობიექტური ან სუბიექტური ნიშნის მიხედვით; საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის კრიტერიუმების სისტემა...

სტრატიფიკაცია შეიძლება იყოს კლასობრივი, ეკონომიკური, სოციალური, პროფესიული, ეთნიკური, ენობრივი და ა. შ. სტრატებად დაყოფა, ჩვეულებრივ, ხდება რაიმე სპეციფიკური ან განზოგადებული ნიშნით (ნიშანთა ერთობლიობით).

ერთგვაროვანი საზოგადოება, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული საბჭოეთი აშენებდა და ვერ ააშენა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს — ილუზიაა. ნებისმიერი საზოგადოება დაყოფილია ფენებად, სტრატიფიკაცია ყველა საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ უთანასწორობა ადამიანთა საზოგადოების თანმხლები მოვლენაა (რა თქმა უნდა, მეტნაკლებად).

საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაცია ახალი რამ არ არის. ეს იდეები ნაჩვენებია ბიბლიაში, ძველი საბერძნეთის სოციალურ ნააზრევში, ინდოეთისა და ჩინეთის ძირითად სოციალურ და რელიგიურ ტექსტებში.

ამჟამად კ. მარქსის ნააზრევის არაპოპულარობის მიუხედავად, მისი ზოგიერთი სოციალური დებულება, როგორც მეცნიერული ღირებულება, მნიშვნელობას არ კარგავს და ასეა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც. სოციალური სტრატიფიკაციის თეორიის ისტორიაში მარქსმა მოახდინა გადატრიალება და ამ მხრივ მას კოპერნიკს ადარებენ ხოლმე. საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის არსებული კრიტერიუმებისაგან განსხვავებით მარქსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ინდივიდის ან ჯგუფის ადგილს ეკონომიკურ სტრუქტურაში. სტრატიფიკაციის თეორიის შემდგომ განვითარებას მისი ეს მოდელი დაედო საფუძვლად — წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულება. მარქსმა ადამიანთა საზოგადოება გაყო ორ კლასად: წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებად და მუშებად, რომლებიც მათ ემსახურებიან.

მარქსის შემდეგ ყველაზე დიდი ფიგურა სოციალური სტრატიფიკაციის ისტორიაში ეს არის გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი (1864-1920). საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ვებერი მხოლოდ კლასებს კი არ ხედავდა, როგორც მარქსი, არამედ მას განიხილავდა როგორც მრავალგანზომილებიან სისტემას, სადაც საკუთრებისადმი დამოკიდებულების გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვა ფაქტორებსაც, კერძოდ — სტატუსს, ძალაუფლებას, ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებს და სხვ., რომელთაც მარქსისტულ კონცეფციაში უმნიშვნელო როლი ჰქონდა მინიჭებული.

სოციალური სტრატიფიკაციის უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა ამერიკელი სოციოლოგი ტ. პარსონსი (1902-1979).

სოციალური სტრატიფიკაცია გაჩნდა მარქსისტული კლასებისა და კლასთა ბრძოლის თეორიის საპირისპიროდ. ის უარყოფს, კაპიტალისტური საზოგადოების დაყოფას ანტაგონისტურ კლასებად — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად (როგორც ამას საბჭოური იდეოლოგია გვასწავლიდა) და საზოგადოების კლასებად დაყოფის საფუძველს — წარმოების საშუალებათა ფლობას, საკუთრებისადმი დამოკიდებულებას.

განარჩევენ ბუნებრივ და სოციალურ სტრატიფიკაციებს. ბუნებრივია საზოგადოების დაყოფა ასაკობრივ, სქესობრივ, რასობრივ, ეროვნულ და სხვა ბუნებრივი ნიშნებით. სოციალურია სტრატიფიკაცია, რომელიც საზოგადოებას ჰყოფს სოციალური ნიშნების მიხედვით: ელიტა, მდიდრები, ღარიბები, გლეხები, პენსიონერები, სტუდენტები და ა. შ.

განასხვავებენ „ერთგანზომილებიან" და „მრავალგანზომილებიან" სტრატიფიკაციებს. ერთგანზომილებიანის მიხედვით ჯგუფი განისაზღვრება რაიმე ერთი ნიშნის მიხედვით. სოციოლოგთა უმრავლესობა მხარს უჭერს „მრავალგანზომილებიან" სტრატიფიკაციას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში სტრატები გამოიყოფა სხვადასხვა (და არა ერთი) კრიტერიუმის საფუძველზე, ნიშანთა ერთობლიობით. სოციალურ სტრატებსა და ფენებს გამოჰყოფენ ისეთი ნიშნების საფუძველზე, როგორიცაა შემოსავალი, განათლება, დასაქმება, საყოფაცხოვრებო პირობები, სოციალური პრესტიჟი, ფსიქოლოგია, ადამიანთა თვითშეფასება რაიმე ფენისადმი მიკუთვნებულობის შესახებ და სხვ.

საზოგადოებაში სტრატათა რაოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული. უმრავლეს შემთხვევაში 2-დან 6-ის ფარგლებში მერყეობს.

სოციალური სტრატიფიკაციის კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევებში ჩვეულებრივ იყენებენ სამ მიდგომას: 1. „კლასობრივი იდენტიფიკაციის" მეთოდი, როდესაც ინდივიდი იძლევა თვითშეფასებას, ანუ თვითონ აკუთვნებს თავის თავს რაიმე ფენას სოციალური იერარქიის სკალაზე, 2. „რეპუტაციის შეფასების" მეთოდი, როდესაც ინდივიდები, როგორც ექსპერტები, აფასებენ ერთმანეთის ან ნაცნობი სოციალური ჯგუფის სოციალურ მდგომარეობას, 3. „ობიექტური მიდგომა", როდესაც მკვლევარი თვითონ ოპერირებს გარკვეული ობიექტური კრიტერიუმებით, მაგ. პროფესიის პრესტიჟი, განათლების დონე, შემოსავლის დონე და სხვ.

საზოგადოებას ჩვეულებრივ ჰყოფენ ძირითად და ქვესტრატებად. ძირითადია მაღალი, საშუალო და დაბალი სტრატები. ქვესტრატებია ძირითადის შიგნით გამოყოფილი ქვეჯგუფები, მაგ. საშუალო სტრატის (კლასის) ზედა ფენა, უმაღლესი სტრატის საშუალო ფენა და ა. შ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე მასობრივი სტრატაა საშუალო ფენები. თუ უმაღლესი სტრატა მთელი საზოგადოების 3 პროცენტია, საშუალო — 50 პროცენტია. საერთოდ, დღევანდელ დასავლურ სამყაროში ყველაზე სწრაფი ზრდის ტენდენცია საშუალო ფენას აქვს. მათ ძირითადად ისეთი თანამდებობები უკავიათ, რომლებიც გონებრივ შრომას ითხოვს. ამიტომ ისინი თავმოყრილნი არიან პროფესიონალურ, ტექნიკურ, ადმინისტრაციულ, კომერციულ, სამმართველო-ბუხჰალტრულ სამუშაოებზე. მათი თანამდებობები მოითხოვს ინტენსიურ სრულყოფას, ვარჯიშს; ცოდნას. მათ აქვთ საერთო ფასეულობითი ორიენტაციები, ცხოვრების წესი, აზროვნების სტერეოტიპი, რომელიც განსხვავდება მათგან, ვინც სოციალური იერარქიის სხვა საფეხურზე არიან. საშუალო კლასს ნაკლები სიმდიდრე და ძალაუფლება აქვს, ისწრაფვის მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოსაპოვებლად და სჯერა, რომ საჭირო მონაცემებით და სიბეჯითით წარმატებას მიაღწევს. საშუალო ამერიკელს სჯერა აშშ-ში კერძო მეწარმეების იდეალებისა და პიროვნების თავისუფლებისა, ენდობა მთავრობას და საზოგადოებრივ სისტემას. საშუალო კლასს მკუთვნებენ ნებისმიერი სოციალურ-პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებს, რომელთა შემოსავალი ამერიკაში მიღებული საშუალო შემოსავლის მაჩვენებელს უახლოვდება. საშუალო ფენა ცხოვრების საერთო მაღალი დონით ხასიათდება. საშუალო ფენის დიდი ხვედრითი წილია საზოგადოების სტაბილურობის ფაქტორი.

უმაღლეს სტრატას მოსახლეობის ყველაზე მდიდარი ნაწილი მიეკუთვნება. ეს სტრატა ძირითადად არსებობს კაპიტალდაბანდებიდან მიღებული დივიდენდებით, რომელიც ან მემკვიდრეობით აქვთ მიღებული ან პირადი მოღვაწეობით. ცდილობენ ძირითადი კაპიტალი არ შეუმცირდეთ და მემკვიდრეობით გადასცენ. ეს არის უმაღლესი სტრატის განმსაზღვრელი ეკონომიკური კრიტერიუმი. ამას გარდა სხვა ნიშნებიც ახასიათებს უმაღლეს სტრატას. ეს არის, მაგალითად, დახურული კერძო კლუბების წევრობა. ძირითადად აქ ხდება ამ სტრატის წარმომადგენელთა სოციალური ურთიერთობა, სოციალიზაცია. სხვა ნიშნებია დახურულ პრივილეგირებულ კვარტალში ცხოვრება; დიდი მოცულობის თავისუფალი დრო სხვადასხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად; ოჯახური სოლიდარობის მაღალი ხარისხი, რომელიც ეყრდნობა მემკვიდრეობის საერთო ფლობას; ყოველდღიური ცხოვრების გარკვეული ჩვევები და ნორმები, რომლებიც გამომუშავებული აქვთ საკუთრების დიდი წილის ფლობით და სხვ.

ჩვენთან მიღებული სტანდარტებით (რომლის თარგსაც მოსკოვი გვიგზავნიდა და დაქირავებული მეცნიერებიც იმ თარგზე ჭრიდნენ) საზოგადოება დაყოფილი იყო სამ კლასად: მუშათა კლასი (ვითომ საზოგადოების წარმმართველი და ყველაზე პრივილეგირებული) კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია. თითოეული ამ კლასის განსაზღვრაც და განსაზღვრის კრიტერიუმიც დოგმატური და სრულიად ხელოვნური იყო. მაგ., როდესაც მუშათა კლასის ზრდა შეფერხდა, საბჭოთა მეურნეობების მუშები „ჩარიცხეს" მუშათა კლასში (არსებითად კი ისინი სოფლის მეურნეობაში იყვნენ ჩართული). მუშათა კლასი რაოდენობრივად ინტელიგენციაზე მეტი რომ უნდოდათ ყოფილიყო, ადგნენ და ინტელიგენცია გაწყვიტეს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ოფიციალურ საზოგადოებრივ სტრუქტურაში არ ფიგურირებდნენ, მაგრამ ჩვენ ყველანი ვხედავდით სახელმწიფო ქონების ქურდებს და არაქურდებს, კორუმპირებულ და არაკორუმპირებულ ინტელიგენციას, პარტიულ ბიუროკრატიას და „ნამდვილ" კომუნისტებს, სუფთა ხელფასზე მჯდომთ, სხვადასხვა მაფიას, კლანებს... ცხოვრება ჰყოფდა ადამიანებს.

დღეს ვითარება იცვლება. პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვა სტრუქტურების ნგრევა-შექმნასთან ერთად საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც იცვლება. ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვისგან შედგება ჩვენი საზოგადოება, რა ძირითადი სოციალური ფენებია მასში, რა კრიტერიუმებით უნდა გამოვყოთ ისინი... სოციალური მართვის პრაქტიკოსთვის ამ სტრუქტურების რეალური სურათის ცოდნა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენ კი ჯერ არ ვიცით საზოგადოების ობიექტური სოციალური სტრატიფიკაცია. ამდენად, ეს საკითხი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

**ნოდარ კერესელიძე**



# ბაგრატ IV

მეფე ბაგრატი „იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სვიანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთათვის, უხვი ალაგთა ზედა, ხოლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს" — მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება".

რა სხარტად და მოქნილად, რა ნათლად და ღრმად გვამცნობენ ეს სტრიქონები მეფე ბაგრატის გარეგნობას და ხასიათს, იმ ეპოქის არსს, რომელშიც უხდებოდა ხელმწიფება ბაგრატ მეოთხეს.

მსგავსად მამისა, გიორგი პირველისა, ბაგრატ IV სავსებით ყრმა — 9 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე, მაგრამ განსხვავებით მამისაგან, რომელმაც მხოლოდ 13 წელი იმეფა, 45 წელი იჯდა ბაგრატი საქართველოს ხელმწიფედ.

მართლაც „ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა" ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე. შფოთისა და დავიდარაბის არსებითი მიზეზი კი, ძველი და ნაცნობი იყო სწორედ ის, რაც თან სდევდა ჩვენს ქვეყანას დასაბამიდან დღემდე — ურთიერთშუღლი, შინააშლილობა და განუწყვეტელი ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ.

ბაგრატის მეფობის ხანაში გარეშე მტერთაგან განსაკუთრებული აგრესიულობით, იმ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა, ერთმორწმუნე ბიზანტია გამოირჩეოდა. იგი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა დაეპყრო და მოესრა ჩვენი მიწა-წყალი, დაექოქებინა და დაემონებინა ქართველი ერი.

ამ მიზნისათვის ბრძოლაში ბიზანტია წარმატებით იყენებდა ძველისძველ ნაცად ხერხს — „გათიშე და იბატონე". სამწუხაროდ და სავალალოდ, პოულობდა კიდეც ერის წიაღში სათანადო საყრდენს. ამიტომაც აგზავნიდნენ განუწყვეტლივ ბიზანტიის ცბიერი ხელისუფლები ისეთ მსახურთ, რომელნიც ახერხებდნენ გადაებირებინათ დიდებულთა ერთი ნაწილი და სწორედ მათი ხელით ეკეთებინათ თავიანთი საქმე.

ბაგრატ მეოთხის გამეფებისთანავე, 1028 წელს, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ გამოგზავნა სარდალი „ლაშქრითა ურიცხვითა". პირწმინდად მოაოხრა ამ ლაშქარმა სწორედ ის მხარეები, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II მძლავრობდა თავისი ლაშქრით. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენმა მოღალატე ტაოელმა აზნაურებმა, უმალ გადაბარგდნენ მტრის ბანაკში და ციხეების კარებიც გაუღეს მომხვდურთ უბრძოლველად.

მაგრამ ბაგრატს მხარდამჭერნიც ჰყავდა და სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო. ვაჟკაცურად აღიმართა ლაშქრობლების წინ საბა მტბევარი, რომელმაც სასწრაფოდ შეკრიბა თავის საეპისკოპოსოში საკმაო ჯარი და შემოსეულ მტერს წინ გადაეღობა თავისი ლაშქრით. ძვირფასი დრო მოიგო ამით მეფე ბაგრატმა, გაუმკლავდა და სძლია მტერს.

ამ ბრძოლის შემდეგ სულ მალე, გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე და საქართველოც შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ჭირში გამობრძმედილმა ქვეყანამ იცოდა, რომ დროებითი იყო ეს შესვენება. ამიტომაც, „შემდგომად ამისა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი... საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა". დედოფალს თან ახლდა მაშინ უკვე ცნობილი მწიგნობარი და მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი.

მშვენივრად განარიგა ყოველი საქმე მარიამ დედოფალმა. ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზმა აკი „მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისთვის... და მისცა ცოლად ბაგრატისათვის ელენე დედოფალი". ზავი დადებულ იქნა. გაიხარა ერმა. ბაგრატს და ელენეს „უკურთხეს გვირგვინი ზანას".

დამოყვრებამ და დაზავებამ ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობა დაამყარა. საუბედუროდ, მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა. დედოფალი ელენე მალე გარდაიცვალა.

მეფე ბაგრატმა მეორე ცოლად „ოვსთა მეფის ასული" ბორენა შეირთო. კვლავ განაახლა ბიზანტიამ მტრული ქმედება საქართველოს მიმართ. მოხერხებულად გამოიყენა ამ მიზნით ბაგრატ მეფის ნახევარძმა დემეტრე, რომელიც ანაკოფიას უფლობდა.

დემეტრე ბაგრატს ჯერ აუჯანყდა, მერე კი ბიზანტიას გაიქცა და ანაკოფიის ციხეც მტერს ჩააბარა.

ვერ მოიცალა იმხანად ბაგრატმა ანაკოფიისათვის, რამეთუ დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა თბილისის საამიროს გასაუქმებლად კლდეკარის ძლიერი ერისთავის ლიპარიტის და ქართლის ერისთავის ივანე აბასაისძის თაოსნობით. წარმატებით დამთავრდა ეს ბრძოლა 1032 წელს. თბილისის ამირა შეიპყრეს, მაგრამ ბაგრატმა ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა. იგი დიდებულების ერთმა ნაწილმა აცდუნა და ამირა გაათავისუფლებინა.

მხოლოდ 5 წლის შემდეგ გადაწყვიტა ბაგრატმა თბილისის აღება და საამიროს გაუქმება, კაბთ მეფეც მოიშველია და თბილისს გარს შემოერტყა. ორი წელი გრძელდებოდა ეს ალყა. ქალაქი დაიმშა. ამირა გასაქცევად მოემზადა და სწორედ ამ დროს, მოულოდნელად და ლიპარიტთან შეუთანხმებლად, ბაგრატ მეოთხემ ზავი დადო ამირასთან. ბაგრატის ეს მოქმედება, როგორც ირკვევა, დიდგვაროვანთა ერთი ნაწილის „რჩევის" შედეგი იყო. თბილისის აღება ამჯერადაც ვერ მოხერხდა.

სწორედ ეს ფაქტი გახდა საბაბი მეფე ბაგრატსა და ძლიერ დიდებულ ლიპარიტს შორის ხანგრძლივი ბრძოლისა. დაუყოვნებლივ ისარგებლა ამით ბიზანტიის ხელისუფლებამ. ბიზანტიელები ლიპარიტის მხარეს დადგნენ და ლიპარიტმაც გასამეფებლად დემეტრე უფლისწული ჩამოიყვანა საბერძნეთიდან.

ბაგრატ მეფე იძულებული გახდა ლიპარიტს შერიგებოდა და ქართლის ერისთაობა ებოძებინა. ბიზანტიელები სამშობლოში გაბრუნდნენ და „წარიტანეს დემეტრე თანა". ცოტა ხნით საქართველოში მშვიდობა დამყარდა.

მალე მეფე ბაგრატს სომეხთა გარკვეული წრის წარმომადგენლები ეწვივნენ და ანისი ჩაიბარეო, თხოვეს. საამისო საბაბიც არსებობდა. „სომხთა მეფის ასული იყო მარიამ დედოფალი ბაგრატის დედა". ბაგრატმა ანისი დაიკავა და იქ მმართველად თავისი კაცი დასვა.

დადგა ჟამი და ბაგრატმა ანაკოფიიდან ბიზანტიელთა განდევნა განიზრახა. მან 1045 წლის გაზაფხულზე ციხეს ალყა შემოარტყა. დიდხანს როდი გაგრძელდა ეს ალყა. სულ მალე მეფეს თბილისელი ბერები ეახლნენ და ამირა ჯაფარის გარდაცვალება ამცნეს. ბაგრატი დაუყოვნებლივ თბილისისაკენ გამოეშურა და „მიეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმის ველსა". უბრძოლველად შევიდა ბაგრატი თბილისში და დაჯდა სამართავად. მხოლოდღა ერთი უბანი — ისანი უწევდა წინააღმდეგობას. ამრიგად, თბილისი ფაქტობრივად საქართველოს შემოუერთდა და საქართველოს გაერთიანებაც თითქოსდა დასრულდა, მაგრამ, ბიზანტიელთა მცდელობით, ლიპარიტი კვლავ აუჯანყდა მეფეს და საქართველოს ანისი დააკარგვინა.

კვლავ გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის. ბიზანტიის ხელისუფალნი ზურგს მოღალატე დიდებულს უმაგრებდნენ, ამიტომაც უარყო მან ბაგრატის წინადადება შერიგების თაობაზე. მეფე ბაგრატი საბრძოლო მზადებას შეუდგა. ლიპარიტმა დაასწრო და დაამარცხა.

ქვეყანა კვლავ აირია. ბაგრატ მეფემ დასავლეთ საქართველოს მიაშურა. ლიპარიტმა, კი, ბიზანტიელთა კარნახით, თურქების წინააღმდეგ რამდენჯერმე ილაშქრა. სავალალო გამოდგა მისთვის ერთი ასეთი ლაშქრობა. იგი თურქებმა დაატყვევეს.

ბაგრატ მეფე აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა და თბილისი კვლავ დაიკავა. მაგრამ ბიზანტიისთვის საქართველოს გაძლიერება სახიფათო იყო და ამიტომ ლიპარიტი გამოისყიდეს. მდგომარეობა მყისვე შეიცვალა.

მხოლოდღა ერთი გზა დარჩენოდა ბაგრატს ამის შემდეგ, თავადაც ბიზანტიას წასულიყო და იქ ეძებნა გადარჩენის გზები.

1054 წელს ბაგრატ IV ბიზანტიაში გაემგზავრა. სამი წელი მოუხდა დარჩენა კონსტანტინეპოლში დედასთან — მარიამთან ერთად. აქ ისინი გიორგი მთაწმინდელმა მოინახულა. დიდად მოიხიბლა მეფე ბაგრატი გიორგი მთაწმინდელის ხილვით და საუბრებით — „ვითარცა იხილა მეფემან ბაგრატ ესევითარი სიწმინდით და ღირსებით მოქალაქეობა და უსხეულოთა მსგავსი ცხოვრება და სასწაული მისი, დიდად შეიყუარა, ვითარცა ანგელოზი ღმრთისა და ლონესა ეძებდა, რათამცა თჳსსა მამულსა წარიყვანა", ვერ მოხერხდა იმხანად გიორგი მთაწმინდელის სამშობლოში დაბრუნება. ვინაიდან „ელტვოდა (გაურბოდა) დიდებასა კაცთასა და შფოთისა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა".

ბოლოს და ბოლოს, ბიზანტიის იმპერატორის უშუალო მონაწილეობით, ბაგრატსა და ლიპარიტს შორის შეთანხმება მაინც მოხდა. ლიპარიტმა ბაგრატის მეფობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სცნო, ხოლო ბაგრატმა ლიპარიტი ნახევარი მესხეთის მთავრად აღიარა.

ამასობაში ლიპარიტმა საქართველოში ბაგრატის ძე — გიორგი მეფედ აკურთხა და თავი მის აღმზრდელად გამოაცხადა. ასე გახდა ერთხანს ფაქტობრივი მმართველი საქართველოსი ლიპარიტ კლდეკარის ერისთავი.

მეფე ბაგრატი საქართველოში 1057 წელს დაბრუნდა. ამ დროისათვის თითქოსდა დიდებულებთან ურთიერთობა მოგვარებული ჩანდა, მაგრამ ყოველივე ეს, გარეგნულ იერს ატარებდა, რამეთუ არ გააჩნდა მტკიცე საფუძველი. ამ დროს სულ სხვა ფაქტორმაც იჩინა თავი: თავად ლიპარიტის ქვეშევრდომთ მობეზრდათ ლიპარიტის [illegible] და თავხედობა. ამიტომაც ერთ მშვენიერ დღეს ამაყი ერისთავი შეიპყრეს და ბაგრატ მეფეს [illegible] რგად უწყოდა ხელმწიფემ ლიპარიტს მიდმა რა [illegible] ამიტომაც გაათავისუფლა იგი, ოღონდაც სანაცვლოდ მის მეციხოვნეებს კლდეკარის გასაღები ჩამოართვა.

ტყვეობაში ყოფნისას ლიპარიტმა ბერად აღკვეცა მოინდომა და განთავისუფლების შემდეგ სურვილიც განახორციელა — სამშობლო მიატოვა და ათონის ქართველთა მონასტერში დაიდო ბინა ბერი ანტონის სახელით.

ბიზანტიაში იმხანად ლიპარიტის შვილი ივანეც იმყოფებოდა. ამჯერად, მის მიმართ მამის სურვილი მეფე ბაგრატის სურვილსაც დაემთხვა და ივანე საქართველოში დაბრუნდა. ბაგრატ მეფემ მას საგვარეულო მამული მთლიანად დაუბრუნა.

სიმშვიდე დამყარდა საქართველოში. ბაგრატის საგარეო საქმეები თითქოსდა მოგვარდა, მაგრამ ახლა განსაცდელი სხვა მხრივ მოგვადგა. 1065 წელს ჩვენს სამშობლოს თურქ-სელჯუკთა უზარმაზარი ლაშქარი შემოესია. სულთანი ალფარსლან მოუძღოდა ამ ლაშქარს. ვეღარ შეძლეს კალიასავით შემოსეული ამ უზარმაზარი ძალის შეკავება ქართველებმა, აიღეს და ააოხრეს მომხვდურებმა საქართველოს ერთი ნაწილი. იძულებული გახდა ქართველთა მეფე დისწული მიეთხოვებინა სულთანისათვის და ამ დამოყვრებით მშვიდობა დაემყარებინა თუნდაც მცირე ხნით.

სულ სამ წელს გაგრძელდა ამჯერად, ნანატრი მშვიდობა. სულთანი 1068 წელს კვლავ შემოესია საქართველოს. მხოლოდ მკაცრმა ზამთარმა და მოუსავლიანობით გამოწვეულმა შიმშილმა აიძულა მოძალადე საქართველოს გასცლოდა. მტერმა თავისი მაინც გააკეთა — რუსთავი და თბილისი განძის პატრონს ფადლონს აჩუქა. ბაგრატ მეფე თბილისის ხანახებში თავს დაესხა ფადლონს და ტყვედ იგდო იგი.

სულთანის შუამდგომლობით, სათანადო ფიცის დადების შემდეგ ბაგრატმა გაათავისუფლა ფადლონი — გაგეკეთისა და გაგის დათმობის ფასად. ტყვეობიდან თავდახსნილმა ფადლონმა ფიცი გატეხა. ბაგრატ მეფე იძულებული გახდა ბრძოლით აეღო განძა.

დაუსრულებელი ბრძოლებით და მღელვარებით გავლილი წლებით დამძიმებული ბაგრატ IV 1072 წელს გარდაიცვალა.

მეტად რთული იყო ბაგრატის პიროვნება, — აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი და იქვე დასძენს, — მართალია, ბაგრატის დროს საქართველოს გარეშე მტრებისგან მოსვენება არ ჰქონდა, მაგრამ მისი შედარებით სისუსტის მიზეზი მაინც ის ბრძოლა იყო, რასაც იგი შინაური მტრების, დიდგვაროვანი აზნაურების წინააღმდეგ ეწეოდა.

მოამზადა
გ. მეძხიშვილმა
უშანგ ოგოლაძის ნახატი

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობს თანამშრომელს ხანდრო საგინაშვილს დედის

ციალა საგინაშვილის

გარდაცვალების გამო.


გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო"

ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.
3 თვით—6 მან. 45 კაპ.
6 თვით—12 მან. 90 კაპ.
12 თვით—25 მან. 80 კაპ.



რედაქტორი თამარ ეზრალიძე
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი, მარიკა აბაიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-31-57.

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29.

X1
ინდექსი 66421